შემაჯამებელი ანგარიში
იანვარი - ივლისი 2025

საერთაშორისო ღონისძიებები

• პარიზის წიგნის ფესტივალის გახსნა

გახსნის ცერემონიას საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, მინისტრის მოადგილე ბექა დავითულიანი, საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე კოკაია და მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე დაესწრნენ.

ფესტივალში საქართველო მრავალფეროვანი კულტურული პროგრამით მონაწილეობს. მწერალთა სახლი, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, უკვე მეორედ წარდგა პარიზის წიგნის ფესტივალზე.
ქართული სტენდის კონცეფცია იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერის ირგვლივ აიგო და მიმდინარეობს სლოგანით „აღმოაჩინე ქართული საიდუმლო - „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს". გახსნის ღონისძიებაც სწორედ იოანე ზოსიმეს შესახებ ფილმის ჩვენებით დაიწყო.

მწერალთა სახლის მხარდაჭერით, პარიზის წიგნის ფესტივალისთვის, ფრანგულად ითარგმნა და გამოიცა ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, სამეცნიერო-პოპულარული და კრიტიკული ნაშრომები, საბავშვო ლიტერატურა და წიგნები ქართული ხელოვნების შესახებ.

LIVRES
DE POLOGNE
LIVRES
DE POLOGNE

MAISON


Grand
Palais

GÉORGIE


EXPLORER
LES MYSTÈRES DE LA
GÉORGI

GÉORGIE

• დოკუმენტური ფილმის „იოანე ზოსიმე – დაბრუნება“ ჩვენება

პარიზის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის გახსნაზე გაიმართა დოკუმენტური ფილმის „იოანე ზოსიმე – დაბრუნება“ ჩვენება, რომელიც მე-10 საუკუნის უნიკალური ხელნაწერის საქართველოში დაბრუნების შესახებ მოგვითხრობს.

ფილმი წარადგინეს პროექტის ავტორმა გურამ ნიკოლაშვილმა და ფილმის ერთ-ერთმა სცენარისტმა ბაჩო კვირტიამ.



• კონსტანტინე გამსახურდიას პირველი რომანის - „დიონისოს ღიმილი“ - წარდგენა

პარიზის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე აუდიტორიუმში გაიმართა კონსტანტინე გამსახურდიას პირველი რომანის - „დიონისოს ღიმილი“ - წარდგენა აუდიტორიასთან.

რომანის შესახებ კლასიკოსი მწერლის შვილიშვილმა, დიპლომატმა, მეცნიერმა, პოლიტიკოსმა, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა – კონსტანტინე გამსახურდიამ ისაუბრა და აუდიტორიის შეკითხვებს უპასუხა.



• პანელური დისკუსია თემაზე: „თანამედროვე ქართული პროზა“

პარიზის ფესტივალზე გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე: „თანამედროვე ქართული პროზა: პოსტსაბჭოთა პერიოდიდან დღევანდელობამდე“.

ღონისძიებაზე ასევე მოეწყო ადა ნემსაძის წიგნის „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“ პრეზენტაცია, რომლის ფრანგულ ენაზე თარგმანი მთარგმნელ, ლიტერატორ დალი იაშვილს ეკუთვნის.
მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა ქართველ ავტორებს: მაკა ჯოხაძეს, კოტე ჯანდიერს და ბაჩო კვირტიას.



• კულტურის სამინისტროს პოსტი

პარიზის წიგნის ფესტივალზე საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნების პრეზენტაციები გაიმართა.

ეროვნულ სტენდთან წიგნი „ელენე ახვლედიანი: პარიზული პერიოდი“ ავტორმა, ხათუნა კიკვაძემ წარადგინა. „სეზანის” მიერ გამოცემული წიგნის კონცეფციის ავტორი და დიზაინერია გია ჯანბერიძე.

შორენა შავერდაშვილმა მკითხველს წარუდგინა „სეზან ფაბლიშინგის“ მიერ გამოცემული ფრანგულენოვანი წიგნები. მათ შორის ორენოვანი წიგნი-ალბომი „ქართველი მხატვრები პარიზში“ (ავტორი ქეთევან კინწურაშვილი). წიგნი მოგვითხრობს ქართველი მხატვრების შესახებ, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება საფრანგეთს, პარიზს უკავშირდება.

„სიმბოლიზმი საქართველოში, ქართულ-ფრანგული პარადიგმა“, (გამომცემლობა „მერიდიანი“) ავტორმა, ბელა ხაბეიშვილმა თანავტორ ფრანსის კლოდონთან ერთად წარადგინა.

ქართული მოთხრობების კრებული „ფანჯარა“, (გამომცემლობა „კარაკტერ“) წარადგინა მთარგმნელმა დალი იაშვილმა.
„დევნილთა უღელტეხილი“ (გამომცემლობა „ბაკმი“) წარადგინა ავტორმა, გურამ ოდიშარიამ,
ხოლო დავით გურამიშვილის, “დავითიანი” და „ქართული ხალხური ზღაპრები“ (გამომცემლობა „ბაკმი“) გამომცემელმა რუსუდან მოსიძემ.

ქართული ლიტერატურით დაინტერესებული სტუმრები ასევე გაეცნენ ეროვნულ სტენდზე გამოფენილ თსუ-ს გამომცემლობის, “საქწიგნის” და “წიგნი+ერის” გამოცემებს.



GÉORGIE

KIZACHVILI
LOSCHANIDZE

GrandPalais
Les grands moments du Grand Palais

- პარიზის წიგნის ფესტივალის აუდიტორიუმში ოთხი ქართველი პოეტი - გიორგი ლობჟანიძე, ლია სტურუა, ელა გოჩიაშვილი და პაატა ნაცვლიშვილი მკითხველს შეხვდნენ და მათ საკუთარი შემოქმედება გააცნეს.

სტუმრებმა ასევე მოისმინეს ჟორჟ ეკიზაშვილის პოეზიის ნიმუშებ.
შეხვედრა დიალოგით გაგრძელდა. პოეტებმა მსმენელთა შეკითხვებს უპასუხეს და ისაუბრეს ქართული თანამედროვე პოეზიის შესახებ.

• მიხეილ კობახიძისადმი მიძღვნილი წიგნის ,,ცხოვრება კინო არ არის“ პრეზენტაცია

პარიზის წიგნის ფესტივალის აუდიტორიუმში გაიმართა რეჟისორ მიხეილ კობახიძისადმი მიძღვნილი წიგნის ,,ცხოვრება კინო არ არის" პრეზენტაცია.
წიგნთან ერთად, ავტორმა ნინო ხოფერიამ სტუმრებს წარუდგინა დოკუმენტური ფილმი რეჟისორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.







• ლონდონის წიგნის ბაზრობა

საქართველოს მწერალთა სახლი 2025 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და მრავალფეროვანი კულტურული პროგრამით მონაწილეობს.
წიგნის ბაზრობისთვის მწერალთა სახლის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზანი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია და ქვეყნის საზღვრებს გარეთ ახალი საქმიანი ურთიერთობის ხელშეწყობაა. კონცეფცია აიგო ქართველი მოღვაწის, იოანე ზოსიმეს ფიგურის ირგვლივ და წარიმართა დევიზით - „აღმოაჩინე ქართული საიდუმლო, ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს...“, რომლის მიხედვითაც შემუშავდა პროგრამული ნაწილი და მომზადდა სტენდის დიზაინი.
პროგრამა ითვალისწინებს ქართველი გამომცემლების, ავტორებისა და წიგნების წარდგენას, ასევე შემოქმედებით აქტივობებს. ლიტერატურულ ნაწილთან ერთად წარმოდგენილი იქნება საბალეტო პერფორმანსი, მუსიკალური ნომერი, აჩვენებენ დოკუმენტურ ფილმს.
ბაზრობის პირველ დღეს, ეროვნული სტენდი საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიხსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი მირცხულავა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული გიორგი საგანელიძე, საქართველოს საელჩოს, გაერთიანებულ სამეფოში ქართული დიასპორის, მწერალთა სახლის წარმომადგენლები, გამომცემლები და მოწვეული სტუმრები.
ფესტივალის ფარგლებში გაიმართა პროფესორ დავით მაზიაშვილის წიგნის პრეზენტაცია, რომელიც მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფიას ეძღვნება. პრეზენტაციაზე მარიამ ალექსიძის საბალეტო დასმა წარმოდგენა გამართა.
ლონდონის წიგნის ბაზრობა 1971 წლიდან ყოველწლიურად იმართება და ფრანკფურტის შემდეგ წიგნის ყველაზე მასშტაბურ ბაზრობად ითვლება. ის აერთიანებს 25 ათასზე მეტ გამომცემელს, წიგნის გამავრცელებელს, ლიტერატურულ აგენტსა თუ მედიის წარმომადგენელს და ხელს უწყობს საგამომცემლო სფეროს განვითარებას, საავტორო უფლებების ყიდვა-გაყიდვის პროცესს, სხვადასხვა ქვეყნის კულტურების დაახლოებასა და ინტეგრაციას.

BiblioSuite
GEORGIA
Grand Hall
6D

WRITERS HOUSE
WRITERS HOUSE

GEORGIA

THE LONDON BOOK FAIR

BEYOND ISLAND HORIZONS:
EXPANDING PATHWAYS FOR
LITERATURES FROM THE MARGINS
THE LONDON BOOK FAIR

EXPLORE
THE MYSTERIES OF
GEORGIA

GEORGIA
History • Culture • Ethnography

• საქართველოს დღეები გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე

საქართველოს დღეები გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე
გენუა წელს კვლავ პოეზიის დედაქალაქია.
მწერალთა სახლი 5, 6, 7 ივნისს გენუის პოეზიის 31-ე საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობს. ფესტივალის საპატიო სტუმარია საქართველო.

5 ივნისს სწორედ საქართველო გახსნის ფესტივალს გრანდიოზული კონცერტით, რომელსაც წარმოგვიდგენს თბილისის ოპერისა და ბალეტის კამერული ორკესტრი (მაესტრო ნიკა ნიკვაშვილი), მთელ მსოფლიოში ცნობილი პოლიფონიური გუნდი, ანსამბლი „შვიდკაცა“, ასევე ცნობილი მომღერლები: იანო ალიბეგაშვილი, ლიზა ბაგრატიონი, კონსტანტინე ყიფიანი და პოეტები: გიორგი ლობჟანიძე, მანონ ბულისკერია, მაია მინდელი, ვახო ვახტანგაძე, შოთა ვეკუა, იტალიელი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი მთარგმნელი ნუნუ გელაძე.
5-16 ივნისს, ფესტივალის დაარსებიდან ოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად, პოეზიის, მუსიკის, კინოს, ხელოვნებისა და ლიტერატურის 100-ზე მეტი ღონისძიება გაიმართება.

გენუაში პოეზიის 31-ე საერთაშორისო ფესტივალი, სახელწოდებით „ფართოდ გადაშლილი სიტყვები“ ჩატარდება.
ფესტივალი ევროპაში პოეტური სიტყვისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ხანგრძლივი ღონისძიებაა.
ფესტივალმა დაარსებიდან – 1995 წლიდან დღემდე უმასპინძლა 1900-ზე მეტ პოეტსა და ხელოვანს მსოფლიოს 91 ქვეყნიდან, მათ შორის ნობელის პრემიის 5 ლაურეატს (გაო სინჯიანი, დერეკ უოლკოტი, ჯ.მ. კუტზეე, ვოლე სოინკა და ჩესლავ მილოში) და ისეთ დიდ სახელებს, როგორებიც არიან მუტისი, მონტალბანი, ფერლინგეტი, ლუ რიდი, დარვიში, ადონისი და სხვ.
ფესტივალის სტუმართა შორის იქნებიან:
საიმონ არმინიჯი – გაერთიანებული სამეფოს პოეტი-ლაურეატი;
პულიცერის პრემიის ლაურეატი ჯორი გრემი (აშშ);
მსახიობი და მწერალი მონი ოვადია;
პოეტი და მომღერალი-სიმღერების ავტორი მარვანი – ესპანეთის ვარსკვლავი;
ცნობილი პოეტები: ნიკოლა მაძიროვი (მაკედონია), მალგორზატა ლებდა (პოლონეთი), მარტინ სოლოტრუკი (სლოვაკეთი), ფორტნერ ანდერსონი და ვაილეინ ფორესტი (კანადა), ხოსე პულიდო (ვენესუელა), მედუზა (ავსტრია), დარიუშ ლებიოდა (პოლონეთი), ჟაო სი და ლიჰონგი (ჩინეთი).
ასევე, ცნობილი იტალიელი პოეტები: ფაბიო პუსტერლა, დავიდე რონდონი, ენრიკო ტესტა, ფლამინია კრუჩანი.

FESTIVAL INTERNAZIONALE DI POESIA
PAROLE SPALANCATE
"La Georgia é un paese di poesia, musica e vino"
Cristoforo Castelli
IL CINEMA GEORGIANO CONTEMPORANEO
7 Giugno 17:00
"SAPOVNELA"
Otar Ioseliani
Direttore
"BERMUKHA"
Bakur Bakuradze
Direttore
LA POESIA GEORGIANA CONTEMPORANEA
7 Giugno 17:45
Giorgi Lobzhanidze
Manon Buliskeria
Maia Mindeli
Vakho Vakhtangadze
Shota Vekua
Nunu Geladze
Traduttrice
PALAZZO DUCALE
IA STANZA DI POESIA
GENOVA
MINISTERO DELLA CULTURA DELLA GEORGIA
LA CASA DEGLI SCRITTORI DELLA GEORGIA

FESTIVAL INTERNAZIONALE DI POESIA
PAROLE SPALANCATE
"La Georgia é un paese di poesia, musica e vino"
Cristoforo Castelli
PRESENTAZIONE DEL LIBRO
NELLE ROVINE DEL SOGNO
Giorgi Lobzhanidze
Poeta
Nunu Geladze
Traduttrice
PALAZZO DUCALE
6 Giugno 17:00 2025
GENOVA
MINISTERO DELLA CULTURA DELLA GEORGIA
LA CASA DEGLI SCRITTORI DELLA GEORGIA

FESTIVAL INTERNAZIONALE DI POESIA
PAROLE SPALANCATE
INAUGURAZIONE DEL FESTIVAL
CONCERTO
"La Georgia è un paese di poesia, musica e vino"
Cristoforo Castelli
Iano Tamar
Soprano
Konstantine Kipiani
Tenore
Liza Bagrationi
Cantante
"Shvidkatsa"
Ensemble vocale
Orchestra da camera del Teatro Nazionale dell' Opera e del Balletto Z. Paliashvili di Tbilisi
Nikoloz Nikvashvili
Maestro
Nino Nodia
Critico d'arte presentatore dell concerto
Bakur BakuraDze
Direttore di produzione
PALAZZO DUCALE
5 Giugno 21:00 2025
GENOVA
MINISTERO DELLA CULTURA DELLA GEORGIA
LA CASA DEGLI SCRITTORI DELLA GEORGIA

• გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამის პრეზენტაცია

4 ივნისს გენუაში, Fertrinelli Librerie-ში გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. ფესტივალის დამფუძნებელმა და ორგანიზატორმა, პოეტმა კლაუდიო პოცანიმ სტუმრებს ლიტერატურული ღონისძიებების მრავალფეროვანი პროგრამა გააცნო და აუდიტორიას 2025 წლის ფოკუს ქვეყანა – საქართველო და ქართველი პოეტები წარუდგინა. შეხვედრაზე სტუმრებმა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი პოეტების შემოქმედება და პოეზიით შთაგონებული მუსიკალური ნომერი მოისმინეს.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ, რომელმაც საზოგადოებას წარუდგინა საქართველოს დელეგაციის საფესტივალო პროგრამა, გაიხსენა გასული წლების ვიზიტები გენუის ფესტივალზე და ერთობლივი მთარგმნელობითი სამუშაო შეხვედრები. მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ საგანგებოდ აღნიშნა ამ მრავალწლიანი ქართულ-იტალიური ურთიერთობების მნიშვნელობა, რომლის შედეგად არაერთი პოეტური კრებული გამოიცა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ავტორები, ლიტერატურული აგენტები და მასმედიის წარმომადგენლები.

FESTIVAL
INTERNAZIONALE
DI POESIA
di Genova
PAROLE
SPALANCATE

• მადლიერების ჯილდოს გადაცემა კლაუდიო პოცანისთვის

გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე მწერალთა სახლის დირექტორმა, ქეთევან დუმბაძემ, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლიერების ჯილდო გადასცა ფესტივალის დამფუძნებელსა და ორგანიზატორს — პოეტ კლაუდიო პოცანის.

• გენუის პოეზიის ფესტივალის გახსნა

5 ივნისს გენუის პოეზიის ფესტივალი საზეიმოდ გახსნილად გამოცხადდა.
ფესტივალი გრანდიოზული კონცერტით საქართველომ გახსნა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერულმა ორკესტრმა (დირიჟორი: ნიკა ნიკვაშვილი), მსოფლიოში ცნობილმა პოლიფონიურმა ანსამბლმა „შვიდკაცა“ და ქართველმა მომღერლებმა – იანო ალიბეგაშვილმა, კონსტანტინე ყიფიანმა და ლიზა ბაგრატიონმა.

ფესტივალის (რომლის დაარსებიდან უკვე 31 წელი შესრულდა) მნიშვნელობაზე ისაუბრა უშუალოდ ამ ღონისძიების დამფუძნებელმა და ორგანიზატორმა, ქართული ლიტერატურისა და პოეზიის გულშემატკივარმა, კლაუდიო პოცანიმ.

ქართული პოეზიის, ქართულ-იტალიური ლიტერატურული თანამშრომლობის, მთარგმნელობითი პროცესების შესახებ ისაუბრა იტალიაში მცხოვრებმა ქართველმა ლიტერატორმა და მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა იტალიელთა უდიდეს ინტერესს ქართული ლიტერატურის და განსაკუთრებით თანამედროვე ქართული პოეზიის მიმართ.
მწერალთა სახლის არსებითი ჩართულობა აღნიშნა საკუთარ სიტყვაში მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ. კონცერტის ბოლოს მან ასე მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „ეს ვართ ჩვენ... ეს არის საქართველო... ჩვენი ხმა ყოველთვის ისმოდა შუაგულ ევროპაში... და გაისმება ახლაც, და ყოველთვის...“
ამის შემდეგ ქეთევან დუმბაძემ და ნუნუ გელაძემ ქართული ლიტერატურის განვითარებისთვის, ევროპაში თანამედროვე ქართული პოეზიისა და პროზის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის, ჩვენი ქვეყნისადმი მრავალი წლის განმავლობაში ერთგული მეგობრობისა და გულშემატკივრობისთვის, ფესტივალის დამფუძნებელსა და ორგანიზატორ კლაუდიო პოცანის მწერალთა სახლის მიერ დაფუძნებული საგანგებო – „მადლიერების ჯილდო“ გადასცეს.
„ეს ჯილდო სპეციალურად დააარსა მწერალთა სახლმა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც საქართველოსთან საკუთარი ერთგული მეგობრობა, გულშემატკივრობა და ქომაგობა აკავშირებთ. ამ ჯილდოზე სიმბოლურად გამოსახულია ორი ადამიანი, ორი წიგნი, ამ შემთხვევაში, როგორც ქართული და იტალიური წიგნები, როგორ ქართველი და იტალიელი მეგობრები. ჯილდოს ორივე მხარეს წარწერაა, ქართულ და იტალიურ ენებზე: დიდი მადლობა!.. და მწერალთა სახლი დღეს ამ ჯილდოს გადასცემს ჩვენს ერთგულ მეგობარს, გულშემატკივარს – კლაუდიო პოცანის. დიდი მადლობა, კლაუდიო!“, – განაცხადა ქეთევან დუმბაძემ კლაუდიო პოცანისთვის „მადლიერების ჯილდოს“ გადაცემისას.

FESTIVAL
INTERNAZIONALE
DI POESIA
DI POESIA
INTERNAZIONALE
DI POESIA

• გიორგი ლობჟანიძის პოეზიის საღამო, სახელწოდებით „სიზმრის ნანგრევებში“

6 ივნისს, გენუის პოეზიის ფესტივალის ფარგლებში, დოჟების სასახლის პოეზიის ოთახში, გაიმართა გიორგი ლობჟანიძის პოეზიის საღამო, სახელწოდებით „სიზმრის ნანგრევებში“.

პოეზიის საღამოზე შედგა გიორგი ლობჟანიძის პოეტური კრებულის პრეზენტაცია, რომელიც გამომცემლობა „ჯულიანო ლადოლფის“ მიერ არის გამოცემული. საღამოს მოდერატორი იყო მთარგმნელი ნუნუ გელაძე, რომელმაც გიორგი ლობჟანიძესთან ერთად, პოეტის ლექსები იტალიურად წაიკითხა.

პოეზიის საღამოს ესწრებოდნენ ფლორენციაში, მილანში, პავიასა და გენუაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები.
გიორგი ლობჟანიძის საღამოს მრავალრიცხოვანი აუდიტორია ესწრებოდა.

დასასრულ, ავტორმა საკუთარ წიგნებზე ქართველ და იტალიელ მკითხველებს ავტოგრაფები დაუტოვა.
გიორგი ლობჟანიძის პოეზიის მიმართ დამსწრე საზოგადოებამ დიდი მოწონება და ინტერესი გამოხატა.


FESTIVAL INTERNAZIONALE DI POESIA
PAROLE SPALANCATE
PALAZZO DUCALE
GENOVA

• პოეზიის საღამო

7 ივნისს, გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, დუკალის სასახლის პოეზიის ოთახში თანამედროვე ქართული პოეზიის საღამო შედგა.

საკუთარი პოეტური შემოქმედება იტალიელ და ქართველ სტუმრებს გააცნეს პოეტებმა: გიორგი ლობჟანიძემ, მანონ ბულისკერიამ, მაია მინდელმა, ვახო ვახტანგაძემ და შოთა ვეკუამ.

საღამოს მოდერატორი და პოეტების იტალიური თარგმანების ავტორი ნუნუ გელაძე იყო, რომელმაც ლექსები იტალიურ ენაზე წაუკითხა აუდიტორიას.

ხუთი ქართველი პოეტი ერთმანეთს ენაცვლებოდა საკუთარი ლექსების კითხვისას, და ამასთან ერთმანეთს ენაცვლებოდა ხუთი განსხვავებული პოეტური სამყარო, ესთეტიკა, წარმოსახვა და ემოცია.ამ კონტრასტებს გრძნობდა მსმენელიც, რომელიც ზუსტად რეაგირებდა თითოეული ლექსის დეკლამაციის შემდეგ.

საღამოს სტუმრების რაოდენობა მრავალრიცხოვანი იყო, რომლებმაც დიდი ინტერესი და მოწონება გამოხატეს თანამედროვე ქართველი პოეტების შემოქმედების მიმართ.

პოეზიის საღამოს იტალიის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებიც ესწრებოდნენ. ეს შეხვედრა ფესტივალის ქართველი მონაწილეებისთვის და თავად ემიგრანტებისთვის განსაკუთრებულად ემოციური აღმოჩნდა.
5 ივნისს გამართული ქართული ფილმების ჩვენებით და თანამედროვე ქართული პოეზიის საღამოთი გენუის საერთაშორისო ფესტივალს ქართველი მონაწილეები მომავალ წლამდე დაემშვიდობნენ.

FESTIVAL
INTERNAZIO
DI PO
SPAL

FESTIVAL
INTERNAZIO
DI POES
di Ge
PARO
SPALANC

RNAZIO
POE
di Ge

ESTIVA
TERNA
I PO



FESTIVAL
INTERNAZIONALE
DI POESIA
PAROLE
SPALANCATE

თარგმანები და სხვა გამოცემები

• გზამკვლევი „აღმოაჩინე თუშეთი“

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, გამომცემლობამ Mitteldeutscher Verlag გერმანულ ენაზე დასტამბა გზამკვლევი „აღმოაჩინე თუშეთი“
 ავტორები: შტეფან აპლისი და ფლორიან მიულფრიდი.

• ნოდარ დუმბაძის, გურამ ოდიშარიას და ქართველი მწერლების მოთხრობები

 „ქართული ლიტერატურა უცხოურ თარგმანებში“ პროგრამის ფარგლებში გამოიცა ნოდარ დუმბაძის, გურამ ოდიშარიას და ქართველი მწერლების მოთხრობების კრებული.

 „11 რჩეული მოთხრობა ქართული ლიტერატურიდან“
ქართულიდან თურქულ ენაზე თარგმნა ჰარუნ ჩიმქემ. გამომცემლობა: Mevsimler

 გურამ ოდიშარიას რომანი „პრეზიდენტის კატა“
ქართულიდან ბულგარულ ენაზე თარგმნა: ივანა კოლევამ. გამომცემლობა: „პაისიი ხილენდარსკი“

 ნოდარ დუმბაძე – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“; „მარადისობის კანონი“
აზერბაიჯანულად თარგმნა: იმირ მამედლიმ. გამომცემლობა: „ალატორან“

• გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების კრებული

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, თურქულ ენაზე გამოიცა გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების კრებული. წიგნი ხუთ მოთხრობას მოიცავს, რომლებიც თურქულ ენაზე ჰარუნ ჩიმქემ თარგმნა.

• ლაშა თაბუკაშვილის რომანი „ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ“

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, „ქართული ლიტერატურა უცხოურ თარგმანებში“ პროგრამის ფარგლებში, გერმანულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ქართველი მწერლისა და დრამატურგის, ლაშა თაბუკაშვილის რომანი „ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ“.
წიგნი დასტამბა გამომცემლობამ Daltas Verlag.
რომანი ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნეს მაია შილაკაძემ და ჰელმუტ კუნკელმა (Helmut Kunkel).

ხელშეწყობის პროგრამა გამომცემლობებისთვის

• ხელშეწყობის პროგრამა გამომცემლობებისთვის

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას და ქართველ ავტორებს, მათ მიერ შექმნილი ნაწარმოების გამოცემასა და პოპულარიზაციაში.

• ხელშეწყობის პროგრამა გამომცემლობებისთვის

მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებული საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, გამარჯვებული გამომცემლობებიდან ერთ-ერთმა გამომცემლობამ „წიგნი + ერმა” უკვე დასტამბა სამი დებიუტანტი ავტორის წიგნი:

• სალომე ტაბატაძე – „დეტექტივი"
• ჯეკო სვიმონიშვილი – „წითელი სიკვდილი"
• სერგო ქიტიაშვილი – „პარანოია"

• ხელშეწყობის პროგრამა გამომცემლობებისთვის

მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებული საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულ გამომცემლობებს შორის ერთ-ერთმა – „ბილიკები“ – უკვე გამოსცა რევაზ კვერენჩხილაძის „საბუთები ღაღადებენ“.



• ცირა ყურაშვილის პროზაული ნაწარმოებების რჩეული - „მეწამული მაგნოლია”

მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა მწერალ ცირა ყურაშვილის პროზაული ნაწარმოებების რჩეული - „მეწამული მაგნოლია”. წიგნი გამოსცა გამომცემლობამ - „მერიდიანი“.
წინასიტყვაობა ეკუთვნის პოეტ გოჩა სხილაძეს:
„ფარშევანგის ბოლოსავით ფერადოვანი ენაა ცირა ყურაშვილთან. თან რაღაცნაირი ჰიმნური, რელიგიური აღტკინება აქვს მოთხრობებში, რაც ქმნის უკიდურესი დაძაბულობის, ინტენსივობის მანათობელ წერტილს. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს უალტერნატივო სამყაროა, ერთადერთი რეალობა, თითქოს ბოლო კომენტატორია და ჰიმნოგრაფი რეალობის, ოღონდ კრისტალიზებული რეალობის, რომელიც ჩაუქრობი შთაბეჭდილებების ფორებისგან შედგება. ცირას მთელი წარსული ამოაქვს სურათებად, „მთელი დაკარგული დრო.“
„ცირა ყურაშვილის პროზა სიტყვის უკმარისობის გამოხატულებაა. მის მოთხრობებში ჩანს გამუდმებული წამება და ნეტარება მასში (ჩვენში) არსებული შინაგანი სურათებით, რომელიც ჯადოსნურად, რაღაც სასწაულით მის სიტყვებს ემთხვევიან. ეს კი მხოლოდ დიდ მწერლებს ხელეწიფებათ.”
ცირა ყურაშვილი ავტორია რამდენიმე პოეტური, პროზაული, წერილებისა და ესეების კრებულისა და საბავშვო წიგნების. მათ შორის: „ასფალტის ყვავილები“, „ანბანური პერიოდი“, „ხიზნები კომანის მონასტერთან“, „სამოთხის სარკმელი“, „ჟამსა თამაშობისასა“, „ვინ გაიტანს თეფშებს“, „ქრისტესია", საბავშვო ზღაპრები.

• გელა ჩქვანავას რომანი -„სავანე“

გამომცემლობა „მერიდიანმა“ მწერალთა სახლის მხარდაჭერით გამოსცა ქართველი მწერლის გელა ჩქვანავას რომანი – „სავანე“. ავტორი გვიყვება ერთი ოჯახის ისტორიას და თავის ერთგულ მკითხველს უჩვეულო გარემოში ამოგზაურებს, გვიხატავს საინტერესო პერსონაჟებს და დაუვიწყარ სახეებს.
მოქმედება ხდება ინგლისში. ოლქში თავისი მოუსყიდველობითა და პრინციპულობით განთქმული პროკურორის ერთადერთი მეამბოხე მემკვიდრე არაფრად აგდებს ტრადიციებს და მთელი არსით ებრძვის მისთვის მიუღებელ, დამყაყებულ ცხოვრების ყაიდას. აშკარაა, რომ პროტესტის ერთ-ერთი გამოხატვაა ბაბუას ექიმისადმი _ ასაკით უფროსი ქალისადმი მისი გულწრფელი სიყვარულიც კი.
გელა ჩქვანავა თხუთმეტამდე წიგნის ავტორი და რამდენიმე პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის ლაურეატია.



ლონისძიებები

• ახალი სახელები

31 იანვარს, უკვე ტრადიციულად ყოველ პარასკევ საღამოს, მწერალთა სახლში ახალი თაობის ავტორთა შემოქმედებითი საღამოების ციკლი – „ახალი სახელები“ განახლდა.
„ახალი სახელები“ მწერალთა სახლისა და „ლიტერატურული გაზეთის“ ერთობლივი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა ავტორების უფრო ფართო აუდიტორიისთვის გაცნობას, მათი შემოქმედების გაცილებით მეტ მკითხველამდე მიტანას და ამგვარად, ახალი სახელების პოპულარიზაციის ხელშეწყობას.
31 იანვრის საღამოზე საზოგადოების წინაშე წარდგნენ: აკაკი გაბრიჭიძე (პოეტი), ნატალია ბეიტრიშვილი (პოეტი), ანი ბადალაშვილი (პროზაიკოსი).
საღამოს მოდერაციას მწერალი ბაჩო კვირტია უწევდა, რომელმაც აუდიტორიასთან სამივე ავტორის შემოქმედების, მათი წერის მანერის, თავისებურებების შესახებ ვრცლად ისაუბრა.
ნაწარმოებების კითხვის შემდეგ საღამო მწერლებსა და აუდიტორიას შორის დიალოგით გაგრძელდა. ავტორების შემოქმედება შეაფასეს ახალგაზრდა ავტორთა კოლეგებმა და საღამოს სხვა სტუმრებმა. საკუთარ ტექსტებზე ისაუბრეს თავად ავტორებმაც და აუდიტორიის მხრიდან დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

• „ნატვრის ხე“ - გოგლა ლეონიძისადმი მიძღვნილი წარმოდგენა

10 იანვარს მწერალთა სახლში გიორგი ლეონიძის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი წარმოდგენა გაიმართა. ჩხოროწყუს კულტურის ცენტრთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრალურმა სტუდიამ „ყირამალა“ წარმოადგინა მინისპექტაკლი „ნატვრის ხე“, გიორგი ლეონიძის მოთხრობების მიხედვით.

სპექტაკლის ბოლოს, აუდიტორიის წევრებმა სიტყვით მიმართეს სტუდია „ყირამალას“ შემოქმედებით ჯგუფს და მადლობა გადაუხადეს არაჩვეულებრივი წარმოდგენისათვის.

დადგმის რეჟისორი – დათიკო დარასელია, პედაგოგი – დათო შენგელია, კომპოზიტორი – იაგო ქებურია.

• „ცოდნა ბედნიერების შესახებ“ წარდგენა

მწერალთა სახლში გაიმართა წიგნის „ცოდნა ბედნიერების შესახებ“ წარდგენა.
წიგნი იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტმა წარმოადგინა.
თურქული ლიტერატურის უნივერსალური ღირებულებების ნიმუში – „ცოდნა ბედნიერების შესახებ“ ქართულ ენაზე თარგმნეს თურქოლოგებმა – ეკატერინე ახვლედიანმა და თამარ ალფენიძემ.
ღონისძიებას ესწრებოდა თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, ბატონი ალი ქაან ორბაი.
მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ აუდიტორიას წიგნის გამოცემა მიულოცა და ისაუბრა მომავალში დაგეგმილ ქართულ-თურქულ ლიტერატურულ პროექტებზე.

• შაჰნამე

 მწერალთა სახლისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით, 15 მაისს, 17:00 საათზე, მწერალთა სახლში გაიმართება სპარსული ენისა და ფირდოუსის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
 ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ პოეტი და ირანისტი ბელა შალვაშვილი – „შაჰნამეს“ ქართული თარგმანის ავტორი, და სკოლის მოსწავლეები, რომლებიც წაიკითხავენ ნაწყვეტებს სპარსული ეპოსიდან.
 ფირდოუსი მე-10 საუკუნის სახელგანთქმული ირანელი პოეტია, რომლის შემოქმედებამ საფუძველი ჩაუყარა სპარსულ იდენტობასა და კულტურულ განვითარებას.
 მისი მთავარი ქმნილება, „შაჰნამე“ – „მეფეთა წიგნი“, წარმოადგენს ორმოცდაათ წიგნად გაერთიანებულ ეპოსს, რომელიც 104 000-ზე მეტ სტრიქონს მოიცავს და აერთიანებს ისტორიულ ქრონიკებს, მითოლოგიურ გადმოცემებსა და ლეგენდებს.
 ბელა შალვაშვილი ერთადერთია, ვინც ეს დიდი პოემა დამოუკიდებლად თარგმნა ქართულად. ის 40 წელი თარგმნიდა ნაწარმოებს. 2023 წელს ბელა შალვაშვილს მიენიჭა ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი კულტურული ჯილდო – ფირდოუსის პრემია.

• ღამე მუზეუმში

18 მაისს მწერალთა სახლში მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა.

ღონისძიების ფარგლებში სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმისა და რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმის ექსპოზიციები, ასევე დასწრებოდნენ მწერალთა სახლის მიერ ორგანიზებულ მრავალფეროვან კულტურულ ღონისძიებებს.

მწერალთა სახლის ისტორიულ შენობაში, ღამისა და სანთლის შუქით განათებულ აივნებსა და ტერასებზე, გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა „ჩვენ, ცისფერი ყანწები“. ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი თემატიკა ტიციან ტაბიძის პოეზია იყო, რადგან 2025 წელი მისი საიუბილეო თარიღია. სცენაზე გაცოცხლებულმა ისტორიამ, ატმოსფერომ და პოეზიის ხმამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს სტუმრებზე.

მუზეუმების საერთაშორისო დღის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:
 დროებითი ექსპოზიცია „ტიციან ტაბიძე – 130“
 თეატრალიზებული წარმოდგენა „ჩვენ, ცისფერი ყანწები“ (გიორგი კაშიას სამხატვრო ხელმძღვანელობით)
 დოკუმენტური სესია „რეპრესირებული ქალების ისტორიები“
 სპექტაკლი იუნკერთა ბრძოლასა და მარო მაყაშვილზე – „ისტორიის გაკვეთილი“ (რეჟისორი: ანდრია ვაჭრიძე)
მადლობას ვუხდით ღონისძიების ყველა მონაწილეს და ჩვენს სტუმრებს აქტიური ჩართულობისა და ინტერესისთვის.

• მუზეუმების საერთაშორისო დღე

18 მაისს მწერალთა სახლში მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა.

□□ღონისძიების ფარგლებში სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმისა და რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმის ექსპოზიციები, ასევე დასწრებოდნენ მწერალთა სახლის მიერ ორგანიზებულ მრავალფეროვან კულტურულ ღონისძიებებს.

□□ მწერალთა სახლის ისტორიულ შენობაში, ღამისა და სანთლის შუქით განათებულ აივნებსა და ტერასებზე, გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენა „ჩვენ, ცისფერი ყანწები“.
ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი თემატიკა ტიციან ტაბიძის პოეზია იყო, რადგან 2025 წელი მისი საიუბილეო თარიღია. სცენაზე გაცოცხლებულმა ისტორიამ, ატმოსფერომ და პოეზიის ხმამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს სტუმრებზე.

მუზეუმების საერთაშორისო დღის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:
□ დროებითი ექსპოზიცია „ტიციან ტაბიძე – 130“
□ თეატრალიზებული წარმოდგენა „ჩვენ, ცისფერი ყანწები“ (გიორგი კაშიას სამხატვრო ხელმძღვანელობით)
□ დოკუმენტური სესია „რეპრესირებული ქალების ისტორიები“
□ სპექტაკლი იუნკერთა ბრძოლასა და მარო მაყაშვილზე – „ისტორიის გაკვეთილი“ (რეჟისორი: ანდრია ვაჭრიძე)
□□მადლობას ვუხდით ღონისძიების ყველა მონაწილეს და ჩვენს სტუმრებს აქტიური ჩართულობისა და ინტერესისთვის.



- რეპრესირებული ქალების ისტორიები

- სპექტაკლი იუნკერთა ბრძოლასა და მარო მაყაშვილზე „ისტორიის გაკვეთილი“

რეჟისორი: ანდრია ვაჭრიძე

• ბავშვთა დაცვის დღე

1 ივნისს მწერალთა სახლში ბავშვთა დაცვის დღე მრავალფეროვანი, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებებით აღინიშნა.

□□ საზეიმო შეხვედრა გაიხსნა საბავშვო მწერლის, ნინო ქადაგიძის საავტორო პროგრამით — „სიტყვის სკივრი და კითხვის მატარებელი“.

□ ღონისძიება გაგრძელდა შემდეგი აქტივობებით:

• თამარ ადამიას ხელოვნების გაკვეთილი — „ფერადი მაკრატელი“, მოგზაურობა ქაღალდის ფერად სამყაროში;
• ლიტერატურული სეანსი „გააცოცხლე ილუსტრაცია“, რომელსაც ავტორი ლალი აფციაური უძღვებოდა, საავტორო სკოლა „ფასკუნჯის“ თერაპიული ზღაპრების ერთ-ერთი ავტორი;
• სახალისო-შემეცნებითი ვიქტორინა „ჭკუის კოლოფი“, რომელიც დაფუძნებული იყო ხალხურ ზღაპარზე „წიქარა“, ასევე ნოდარ დუმბაძის, რეზო ინანიშვილისა და ახალგაზრდა მწერალ მარიამ ჯამდელიანის ნაწარმოებებზე.

□□ დღესასწაულს დამატებითი ფერადოვნება შემატა ახალგაზრდა მხატვარმა ლიზი გიგაურმა — სადღესასწაულო სახის მოხატვით.
□□ შეხვედრის ბოლოს მოეწყო ქართული მულტიპლიკაციური ფილმების ჩვენება - „ძველი და ახალი ანიმაცია“, სეანსის დროს პატარა მაყურებლებს პოპკორნითა და ტკბილი სასმელი წვენებით გავუმასპინძლდით.
□ ღონისძიება ჩატარდა სლოგანით:

„ყოველი დღე ჩვენია“ — 1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა!

• ნანა ყაულაშვილის გამოფენა

მწერალთა სახლში ხელოვან ნანა ყაულაშვილის თოჯინებისა და ნაქარგობების გამოფენა და წიგნის „ამბავს გეტყვი“ წარდგენა გაიმართა.

ავტორმა წარადგინა საკუთარი წიგნი, რომელიც მოიცავს მის მიერ შექმნილ თოჯინებს, მათზე დაწერილ ზღაპრებსა და სხვა პროზაულ ჩანახატებს, ასევე ნამუშევრებს, რომლებიც მას წლების განმავლობაში დაუგროვდა.

 ნანა ყაულაშვილმა ისაუბრა თოჯინების შექმნის პროცესზე და იმაზე, თუ როგორ იბადება თითოეულ თოჯინასთან ერთად უნიკალური ამბავი. ხელოვანის თქმით, პერსონაჟები სულიერად და ემოციურად დაკავშირებულია კონკრეტულ თემებთან და ამბავიც სწორედ ამ განცდებიდან იძერწება.

 წიგნის წარდგენის შემდეგ, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა ნატალი ჭიჭინაძემ და ანა გოგაძემ ნანა ყაულაშვილის წიგნიდან წაიკითხეს ავტორისვე შეთხზული ამბები თოჯინებზე.

 გამოფენაზე აგრეთვე წარმოდგენილია ნაქარგობები და ხატები.

 ნანა ყაულაშვილი თანამედროვე სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. მან საკუთარი შემოქმედებით ჯადოსნური სამყარო შექმნა, სადაც მოგზაურობა ყველა ასაკის ადამიანისთვის საინტერესო და შთამაგონებელია.

 ხელოვანის მიერ შექმნილი თოჯინების უმეტესობა მოძრავია, მათი სამოსის დეტალები კი ეროვნულ კულტურაზე დაყრდნობით არის შექმნილი.

ქალბატონი ნანა თოჯინების გარდა ხატავს და ფლობს მხატვრული ქარგვის ტექნიკას. შექმნილი აქვს როგორც საეკლესიო, ისე საერო დანიშნულების ნივთები.
 ნანა ყაულაშვილი 2014 წელს მონაწილეობდა ქალაქ მიუნსტერის მეთოჯინეთა ცნობილ გამოფენაში, რასაც მოჰყვა მონაწილეობა პრაღის, ბაქოსა და ალიკანტეს საერთაშორისო გამოფენებში.
 მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპოზიცია 2019 წელს თბილისის ხელოვნების სასახლეში გაიმართა.

• შეხვედრა აზერბაიჯანულ დელეგაციასთან

დღეს მწერალთა სახლში ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ქართველ ავტორებსა და აზერბაიჯანულ დელეგაციას შორის შეხვედრა გაიმართა.

აზერბაიჯანულ დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც გამომცემლები და მწერლები შედიოდნენ, ქვეყნის კულტურის მინისტრის მრჩეველი – ორჰან ფიქრათოღლუ ხელმძღვანელობდა.

შეხვედრაზე საუბარი შედგა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გეგმების შესახებ, რომელიც ორენოვანი წიგნების გამოცემას, მთარგმნელობით სამუშაოებს, ორი ქვეყნის მწერლებს შორის ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავებას მოიცავს.

ყოველივე ეს ითვალისწინებს ორი ქვეყნის პოეტებს, პროზაიკოსებსა და დრამატურგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, სემინარებს, კონკურსებს, სარეზიდენციო პროგრამებს ორივე ქვეყანაში, ერთმანეთისთვის საკუთარი ქვეყნების ლიტერატურული პროცესების გაცნობას, აზრთა და გამოცდილებათა გაცვლა-გაზიარებას, ქართული და აზერბაიჯანული პოეტური, პროზაული და დრამატურგიული ნაწარმოებების თარგმნას ქართულად და აზერბაიჯანულად. ქართული თანამედროვე პიესების დადგმას აზერბაიჯანში და აზერბაიჯანული პიესების დადგმას საქართველოში.

დღევანდელი შეხვედრით გადაიკვეთა ორი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყნის კულტურა, რომლის განვითარებისთვის უდიდესი ენთუზიაზმი და მზადყოფნა ორივე ქვეყნის წარმომადგენლებმა და ავტორებმა გამოხატეს.
მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს ვიზიტისა და გამოჩენილი ინტერესისათვის. მან ხაზი გაუსვა ისეთი პროექტების მნიშვნელობას, რომლებიც საქართველოსა და აზერბაიჯანში ავტორების და მკითხველების დაახლოებასა და ორივე ქვეყნის რეგიონებში გასვლითი ღონისძიებების გამართვას ითვალისწინებს.
შეხვედრაზე ქართველი და აზერბაიჯანელი ავტორები ერთმანეთს გაეცნენ და ლიტერატურული კავშირების გაღრმავების უდიდეს მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

აზერბაიჯანის კულტურის მინისტრის მრჩეველმა ორჰან ფიქრათოღლუმ ისაუბრა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე. მან ასევე ოფიციალურად მიიწვია ქართველი პოეტები 17-18 ივლისს აზერბაიჯანის ქალაქ შუშაში დაგეგმილ ლიტერატურულ ფესტივალზე.

• შეხვედრა ესმა-ალა თურქმენთან

20 ივნისს, 19:00 საათზე მწერალთა სახლი თურქ მწერალ ესმა ალა თურქმენთან შეხვედრას გამართავს.
ესმა თურქმენი ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალების ასოციაციის პრეზიდენტი და ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორია.

იგი შეხვედრაზე მოწვეულ ქართველ მწერლებს, მთარგმნელებსა და გამომცემლებს იმ შესაძლებლობებს გააცნობს, რომლებიც ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალებში მონაწილეობისთვის აქვთ. საჯარო დიალოგი ღიაა დაინტერესებული პირებისთვისაც!

ესმა თურქმენი რამდენიმე წიგნის ავტორია („ვარგიტი“, „ის სიმღერა“, „ტოფრაქ საჰადას მთვარის შუქი“). მისი პირველი რომანი 2002 წელს გამოიცა. იგი საბავშვო წიგნების ავტორიცაა.
შეხვედრას გაუძღვება ქართველოლოგი და მთარგმნელი ჰარუნ ჩიმქე. იგი აქტიურად მუშაობს ქართული კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის თურქულ ენაზე თარგმნა-პოპულარიზაციაზე.

საღამოს მეორე ნაწილში ჰარუნ ჩიმქე წარადგენს ორ კრებულს, რომლებიც მიმდინარე წელს მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა – „11 ქართული მოთხრობა“, რომელიც 11 ქართველი მწერლის ნამუშევრებს აერთიანებს და გიორგი სოსიაშვილის მოთხრობათა კრებული „მოვალ შენთან“.

ორივე წიგნის თარგმანზე ჰარუნ ჩიმქემ იმუშავა.

მწერალთა
სახლი
შეხვედრა ესმა ალა
თურქმენთან
მწერალი
ტრაპიზონის საერთაშორისო
ლიტერატურული
ფესტივალების ასოციაციის
პრეზიდენტი
20 ივნისი
19:00 საათი
მწერალთა სახლი
ივ. მაჩაბლის ქ.13

მწერალთა
სახლი
ორი კრებულის
წარდგენა
„11 ქართული მოთხრობა“ –
კრებული
გიორგი სოსიაშვილის
მოთხრობათა კრებული – „მოვალ
შენთან“ –
ქართველოლოგი და მთარგმნელი
ჰარუნ ჩიმქე
Sana
Geleceğim
Giorgi Sosiaşvili
GÜRCÜ
EDEBİYATINDAN
11 SEÇME ÖYKÜ
მწერალთა სახლი
ივ. მაჩაბლის ქ.13

• შეხვედრა ესმა ალა თურქმენთან, „11 ქართული მოთხრობა“ და გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების კრებულის „მოვალ შენთან” – წარდგენა

20 ივნისს მწერალთა სახლში გაიმართა შეხვედრა თურქ მწერალ ესმა ალა თურქმენთან და ასევე შედგა წიგნების – „11 ქართული მოთხრობა“ და გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების კრებულის „მოვალ შენთან” – წარდგენა. საღამოს უძღვებოდა ქართველოლოგი და მთარგმნელი ჰარუნ ჩიმქე.

ორივე კრებული თურქულად თარგმნა ჰარუნ ჩიმქემ, რომლებიც 2025 წელს გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით.

შეხვედრის პირველ ნაწილში ესმა თურქმენმა ისაუბრა ტრაბზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის დაარსების ისტორიასა და ფესტივალის საწყის ეტაპზე ქართულ სალიტერატურო წრეებთან დამყარებულ კავშირებზე.

ესმა ალა თურქმენი არის ტრაბზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალების ასოციაციის პრეზიდენტი, ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. იგი რამდენიმე წიგნის ავტორია, მათ შორის: „ვარგიტი“, „ის სიმღერა“, „ტოფრაქ საჰადას მთვარის შუქი“. მისი პირველი რომანი 2002 წელს გამოქვეყნდა. ასევე წერს საბავშვო ლიტერატურას.

2022 წელს ტრაბზონის ლიტერატურული ფესტივალი პოეტ ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებას მიეძღვნა. მისი პოეზია თურქულ საზოგადოებას მთარგმნელმა ჰარუნ ჩიმქემ გააცნო, რასაც განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა.

ესმა თურქმენმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის შესაძლებლობები, რომლებიც ფესტივალში მონაწილეობის მსურველებს ეძლევათ. როგორც მან აღნიშნა, მომდევნო ფესტივალი 2025 წლის ოქტომბერში ჩატარდება და ქართველ პოეტებს მასში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ.

საღამოს მეორე ნაწილში ჰარუნ ჩიმქემ ისაუბრა კრებულის „11 ქართული მოთხრობა“ თარგმნის პროცესზე, ასევე გიორგი სოსიაშვილის წიგნზე „მოვალ შენთან“. როგორც ჰარუნმა აღნიშნა, სოსიაშვილის მოთხრობები განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე ქართული პროზის კონტექსტში.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა გიორგი სოსიაშვილიც — პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და აკადემიკოსი.

მან მადლობა გადაუხადა მწერალთა სახლს და ჰარუნ ჩიმქეს, კრებულის თარგმნისა და გამოცემისათვის. ასევე ისაუბრა ტრაბზონის ფესტივალში მონაწილეობასთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე და განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ტარიელ ხარხელაურის მონაწილეობის მნიშვნელობას.

ღონისძიებაზე აუდიტორიასთან ასევე ისაუბრა მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მწერალთა სახლი მზად არის ითანამშრომლოს ტრაბზონის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალთან და დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს ესმა თურქმენის წიგნის თარგმნასა და გამოცემას.



• NON STOP პოეზია

ახალი თაობის ავტორთა საღამოების დასკვნითი ღონისძიება – NON STOP პოეზია.
პოეტური პერფორმანსი საღამოს 8 საათზე დაიწყო და გვიან ღამემდე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში მწერალთა სახლის კარი ღია იყო ყველა იმ სტუმრისთვის, ვისაც სურდა პოეზიის საღამოში მონაწილეობის მიღება.
NON STOP პოეზია წარმოადგენდა ახალგაზრდა ავტორთა ლიტერატურული საღამოების სერიის შემაჯამებელ ღონისძიებას, რითაც 8-თვიანი შეხვედრების სეზონი დასრულდა.
საღამო მწერალმა და „ახალი სახელების“ შეხვედრების მოდერატორმა ბაჩო კვირტიამ გახსნა. მან მიმოიხილა გასული სეზონი და აღნიშნა, რომ ლიტერატურული გაზეთის რუბრიკა „ახალი სახელები“ და მწერალთა სახლის შეხვედრების პლატფორმა მნიშვნელოვანი ტრამპლინია ნიჭიერი, დამწყები პოეტებისთვის და ეს შეხვედრები მათ შემოქმედებით ზრდასა და ლიტერატურულ პროდუქტიულობას კიდევ უფრო უწყობს ხელს.
ავტორებსა და სტუმრებს სიტყვით მიმართეს ლიტერატურული გაზეთის რედაქტორმა ირაკლი ჯავახაძემ და მწერალმა ტარიელ ხარხელაურმა.
ღონისძიების გამორჩეული ნაწილი იყო თავისუფალი კითხვის პერფორმანსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ახალი თაობის პოეტებმა, ისე მოწვეულმა სტუმრებმა.
დამსწრე საზოგადოებისთვის მომზადებული იყო რვათვიანი ციკლის ამსახველი ფოტოკოლაჟი, რომელიც ასახავდა „ახალი სახელების“ საღამოების დინამიკასა და შემოქმედებით ატმოსფეროს.
ღონისძიება დაემთხვა პოეტ ტარიელ ჭანტურიას 93-ე საიუბილეო თარიღს, და სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ მისი ლექსები და ჩანაწერები.
საღამო შესანიშნავი შესაძლებლობა აღმოჩნდა ავტორებს შორის გაცნობისა და ახალი კავშირების დამყარებისთვის. მკითხველმა და მსმენელებმა კი გაიცნეს თანამედროვე პოეტები, დაათვალიერეს მწერალთა სახლის სივრცეები და ისიამოვნეს შექმნილი ატმოსფეროთი. აღსანიშნავია, რომ ღამის პოეტურ პერფორმანსში ჩართვის მსურველი ბევრი დამსწრე სტუმარი აღმოჩნდა.

კონკურსები და პრემიები

• მუზა 2024: ბადრი სულაძის წიგნის „ძახველის სისხლი“ წარდგენა

12 თებერვალს მწერალთა სახლში, „შეხვედრები მუზა 2024-ის ლაურეატებთან“ ფარგლებში, საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინაციაში გამარჯვებული ავტორის, ბადრი სულაძის წიგნის „ძახველის სისხლი“ წარდგენა და შემოქმედებითი საღამო შედგა. ბადრი სულაძემ მკითხველებს წარუდგინა წიგნი, რომლითაც ლიტერატურული პრემია „მუზა“ მოიპოვა, წაიკითხა ლექსები კრებულიდან, ვრცლად ისაუბრა შემოქმედებით პროცესზე და მკითხველების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.
წარდგენას მოდერაციას უწევდნენ „მუზა 2024“-ის ჟიურის ერთ-ერთი წევრი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე ივანე ამირხანაშვილი და მწერალი ბაჩო კვირტია.

• მუზა 2024: ნინო გუგეშაშვილის წიგნის „ჩაი ნანგრევებზე“ წარდგენა

19 თებერვალს მწერალთა სახლში „შეხვედრები მუზა 2024-ის ლაურეატებთან“ ფარგლებში, საუკეთესო პროზაული კრებულის ნომინაციაში გამარჯვებულ ავტორ ნინო გუგეშაშვილის წიგნის „ჩაი ნანგრევებზე“ წარდგენა და შემოქმედებითი საღამო შედგა.

 ნინო გუგეშაშვილმა მკითხველებს წარუდგინა კრებული, რომლითაც ლიტერატურული პრემია „მუზა“ მოიპოვა, წაიკითხა მინიატიურები ახალი წიგნიდან, ვრცლად ისაუბრა შემოქმედებით პროცესზე და მკითხველების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

 წარდგენას მოდერაციას უწევდნენ „მუზა 2024“-ის ჟიურის ერთ-ერთი წევრი – მეცნიერი, პედაგოგი, პოლიტიკოსი, ფილოლოგი პაატა ჩხეიძე და მწერალი ბაჩო კვირტია.

 პაატა ჩხეიძემ ავტორთან დიალოგისას ვრცლად ისაუბრა ნინო გუგეშაშვილის შემოქმედებით დეტალებზე და წერის პროცესზე, ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობის სპეციფიკაზე.

 ახალ წიგნზე და ავტორის მრავალფეროვან შემოქმედებაზე ლიტერატურის, ფერწერისა და მუსიკის მიმართულებით ასევე ისაუბრეს ნინო გუგეშაშვილის მეგობრებმა, მკითხველებმა და საღამოს სხვა სტუმრებმა.

ნინო ადაკვმარეული
ნინო ადაკვმარეული
ჩაი ნანგრევებზე
ჩაი ნანგრევებზე

• მუზა 2024: მაია ჯალიაშვილის წიგნის – „წერილები თანამედროვე ქართულ რომანზე“ წარდგენა

„შაბათს, 22 თებერვალს, მწერალთა სახლში „შეხვედრები მუზა 2024-ის ლაურეატებთან“ ფარგლებში, საუკეთესო კრიტიკის/რეცენზიის ნომინაციაში გამარჯვებულ ავტორ მაია ჯალიაშვილის წიგნის – „წერილები თანამედროვე ქართულ რომანზე“ წარდგენა გაიმართა.

• მუზა 2024: სალომე ტაბატაძე-სეხნიაშვილის, წიგნის „ქარვა“ წარდგენა და შემოქმედებითი საღამო

26 თებერვალს მწერალთა სახლში „შეხვედრები მუზა 2024-ის ლაურეატებთან“ ფარგლებში, საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში გამარჯვებული ავტორის, სალომე ტაბატაძე-სეხნიაშვილის წიგნის „ქარვა“ წარდგენა და შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

 წარდგენას მოდერაციას უწევდნენ „მუზა 2024“-ის ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ლიტერატურათმცოდნე ივანე ამირხანაშვილი, და მწერალი ბაჩო კვირტია.

 ივანე ამირხანაშვილმა ავტორთან დიალოგისას ისაუბრა სალომე ტაბატაძის სამწერლო ჟანრზე – დეტექტივზე, ავტორისთვის დამახასიათებელ სტილზე, ჟანრის მსოფლიო კლასიკოსებზე და მის მიმდევრებზე საქართველოში.

• მუზა 2024: გიორგი ყარყარაშვილის წიგნის „სამშობლოს ამარა“ წარდგენა

5 მარტს მწერალთა სახლში „შეხვედრები მუზა 2024-ის ლაურეატებთან“ ფარგლებში, საუკეთესო დოკუმენტური პროზის ნომინაციაში გამარჯვებულ ავტორ გიორგი ყარყარაშვილის წიგნის „სამშობლოს ამარა“ წარდგენა გაიმართა.

 წარდგენას მოდერაციას უწევდა „მუზა 2024“-ის ჟიურის თავმჯდომარე, ლიტერატურათმცოდნე მანანა კვაჭანტირაძე. თავის სიტყვაში მან ყურადღება გაამახვილა გიორგი ყარყარაშვილის ნაწარმოების მნიშვნელობაზე და ავტორის მიერ გადმოცემული ისტორიული რეალობის შესახებ.

 „სამშობლოს ამარა“ ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნია, რომელშიც ავტორი 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომის დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს საკუთარი რაკურსიდან წარმოგვიდგენს. წიგნში აღწერილი ამბები ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ პერიოდს ასახავს.

• მუზა 2024: სალომე კაპანაძის წიგნის/პიესის „მე არსად წავსულვარ“ წარდგენა

12 მარტს მწერალთა სახლში, „შეხვედრები მუზა 2024-ის ლაურეატებთან“ ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა საუკეთესო პიესის ნომინაციაში გამარჯვებული ავტორის, სალომე კაპანაძის წიგნის/პიესის „მე არსად წავსულვარ“ წარდგენა.

 წარდგენის ღონისძიებას მოდერაციას უწევდნენ „მუზა 2024“-ის ჟიურის წევრი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ივანე ამირხანაშვილი და მწერალი ბაჩო კვირტია.

 სალომე კაპანაძემ მკითხველებს წარუდგინა წიგნი, რომელმაც ლიტერატურული პრემია „მუზა“ მოიპოვა. პიესა აფხაზეთის თემაზეა და ავტორმა ისაუბრა, თუ რატომ აირჩია სწორედ ეს თემატიკა და რატომ გადაწყვიტა დრამატურგიის ჟანრში მუშაობა.

 მისი თქმით, თეატრი წარმოადგენს საუკეთესო ფორმას, რომელიც სრულყოფილად გადმოსცემს პრობლემას და ეხმარება საზღვრების დარღვევას. ავტორმა ასევე ვრცლად აღწერა თავისი შემოქმედებითი პროცესი და უპასუხა მკითხველების მიერ დასმულ შეკითხვებს.

საღამოზე ისაუბრეს მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ, ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა ნინო ვახანიამ და სხვა სტუმრებმა.

• მუზა 2024: ნენე გიორგაძე - კარლო კაჭარავას ორენოვანი პოეტური კრებულის წარდგენა

მწერალთა სახლში ლიტერატურული პრემია „მუზას“ ლაურეატის, პოეტისა და მთარგმნელის ნენე გიორგაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.
ვინაიდან ლიტერატურული პრემია „მუზა 2024“-ის დაჯილდოების ცერემონიაზე (რომელიც 2024 წლის დეკემბერში გაიმართა) ნენე გიორგაძე საქართველოში არ იმყოფებოდა, გუშინდელ საღამოზე პრემიის ლაურეატს „მუზა“ წლის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში გადაეცა – კარლო კაჭარავას ორენოვანი პოეტური კრებულის თარგმნისთვის.
საღამოს განსაკუთრებულ განწყობას სძენდა აუდიტორიის შეკრების მთავარი „მიზეზი“ – გამომცემლობა „სეზანის“ მიერ შესანიშნავად დასტამბული წიგნი, რომელიც თვალს სტაცებდა ყველა სტუმარს – არაჩვეულებრივი პოეტისა და მხატვრის, კარლო კაჭარავას პოეზია ინგლისურ ენაზე.
საღამოს ესწრებოდა ამერიკელი მწერალი და მთარგმნელი ჯონ უილიამ ნარინსი, რომელმაც ნენე გიორგაძესთან ერთად თარგმნა კარლო კაჭარავას კრებული.
ნენე გიორგაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსები, ამონარიდები თარგმანებიდან, ასევე კარლო კაჭარავას ლექსები ქართულ და ინგლისურ ენაზე – ჯონ უილიამ ნარინსთან ერთად.

• გურამ რჩეულიშვილის სახელობის კონკურსი „ახალი ქართული მოთხრობა”

მწერალთა სახლი ახალგაზრდა ავტორებისთვის აცხადებს გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს „ახალი ქართული მოთხრობა“.

 კონკურსის მიზანია ახალი ავტორების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა.
კონკურსი ქმნის პლატფორმას, სადაც 18-26 წლის ასაკის ავტორებს შეუძლიათ წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი. ახალი თაობის მწერლების წარმოჩენითა და ხელშეწყობით, კონკურსი ხელს უწყობს ქართული ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელებასა და განახლებას.

 პრემია ყოველწლიურია და გაიცემა 2 ავტორზე.
 ჟანრი და თემატიკა თავისუფალია.
 გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება 4 ივლისს, მწერლის დაბადების დღეს.

 პრემიის საპრიზო ფონდი შეადგენს 10,000 ლარს.

• გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

 გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი პროზის ჟანრში „ახალი ქართული მოთხრობა“ მიმდინარე წლის 20 მარტს გამოცხადდა.

 საკონკურსო ნაწარმოებების მიღება 30 აპრილამდე გრძელდებოდა.

 კონკურსის პირველ ეტაპზე 40-მდე პროზაული ნაწარმოები შემოვიდა.

აქედან ჟიურიმ (გია არგანაშვილი, გელა ჩქვანავა, ბაჩო კვირტია) შეარჩია 3 ავტორი, თუმცა საყურადღებოა, რომ დაწესებულ ნომინაციაში „რჩეული მოთხრობა“ ჟიურის ერთობლივი გადაწყვეტილებით პრემია არ გაიცა.

კონკურსის ფარგლებში დაწესებული ფულადი ჯილდო – 2000 ლარი და დიპლომი გადაეცემა ნომინაციის „საუკეთესო დებიუტი“ გამარჯვებულს; ასევე გაიცემა 2 წამახალისებელი პრემია 1000 ლარის ოდენობით და დიპლომები ორ შერჩეულ ავტორზე.

 გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი პროზის ჟანრში „ახალი ქართული მოთხრობა“ ყოველწლიური იქნება და მომავალ წელსაც გაზაფხულზე გამოცხადდება.

• „ახალი ქართული მოთხრობა“ გამარჯვებულებთან შეხვედრა და დაჯილდოება

დღეს მწერალთა სახლში გურამ რჩეულიშვილის სახელობის კონკურსის „ახალი ქართული მოთხრობა” გამარჯვებულებთან შეხვედრა და მათი დაჯილდოება შედგა.

▪ მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, ასევე კონკურსის ჟიურის წევრები – გია არგანაშვილი, გელა ჩქვანავა და ბაჩო კვირტია შეხვდნენ კონკურსის გამარჯვებულებს – თამარ სხილაძეს და თეონა ლეჟავას.

▪ ქეთევან დუმბაძემ ისაუბრა კონკურსის მიზანსა და მნიშვნელობაზე, რომ თანამედროვე ქართულ მოთხრობას მეტი განვითარება და პოპულარიზაცია სჭირდება, ასევე აუცილებელია ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა და მათი შემოქმედების უფრო ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა, რისი ერთ-ერთი ეფექტიანი გზა მსგავსი ფორმატის კონკურსების დაარსებაა.

▪გია არგანაშვილმა მოკლედ მიმოიხილა სამივე რჩეული ტექსტი, შეაფასა მოთხრობების მხატვრული მხარე და გამოთქვა სურვილი, ბევრად მეტმა ახალგაზრდა ავტორმა მიიღოს მონაწილეობა ამ კონკურსში.

▪ბაჩო კვირტიამ ხაზი გაუსვა, რომ ჟიურის გადაწყვეტილება, კონკურსის მთავარ ნომინაციაში „რჩეული მოთხრობა“ არ გაეცათ პრემია, გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ ყველაფერი, რაც გურამ რჩეულიშვილის სახელს უკავშირდება, მათ შორის უპირველესად ლიტერატურული კონკურსები და პრემიები, უნდა იყოს მაღალი მხატვრული ღირებულების, რასაც აღნიშნული კონკურსი უსათუოდ მიაღწევს.

▪გელა ჩქვანავას სიტყვებით, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში დღეს ბევრი ძალიან ნიჭიერი, საინტერესო ავტორია, რომლებსაც მიგნება, წარმოჩენა და ხელშეწყობა სჭირდებათ. ასევე საყურადღებო და დამაფიქრებელია ხელოვნური ინტელექტის ასეთი არნახული ექსპანსია, რომელიც უკვე ლიტერატურაშიც შემოიჭრა და ზოგჯერ რთული ხდება გაარჩიო, მხატვრული ტექსტი ადამიანის მიერაა დაწერილი თუ პროგრამის შეთხზულია. ამ ფონზე, გელა ჩქვანავას აზრით, უმნიშვნელოვანესია საინტერესო და ნიჭიერი ავტორების წარმოჩენა და მათი წახალისება ასეთი სახის კონკურსებში, ხოლო შემდგომ ხელშეწყობა პოპულარიზაციაში.

▪შეხვედრის ბოლოს ჟიურის წევრებმა სამახსოვრო დიპლომები და ჯილდოები გადასცეს გამარჯვებულებს და შემოქმედებითი წარმატება უსურვეს.

• ლიტერატურული კონკურსი „ტიციან ტაბიძე -130“

ტიციან ტაბიძის 130 წლის იუბილეს აღსანიშნავად, მწერალთა სახლი აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს უფროსკლასელებისთვის.

□□ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო და კერძო სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეებს.

□ მოსწავლეებმა შემოთავაზებული სამი თემიდან უნდა შეარჩიონ და საკონკურსოდ წარმოადგინონ ერთ-ერთი:

• „რომ მოვედებით საქართველოს ლექსის ნიაღვრად“ (ტიციანი და „ცისფერყანწელები“)

• „ჩემი სამშობლო, საქართველო, სხვა თეატრია“ (სამშობლო ტიციანის პოეზიაში)

• „ჩემი სული დაგლეჯილი ხურჯინია...“ (ტიციანი და რეპრესიების პერიოდი საქართველოში)

□ პრემია გაიცემა:

I პრემია – „ბიბლუსის“ 300 ლარიანი ვაუჩერი
II პრემია – „ბიბლუსის“ 200 ლარიანი ვაუჩერი
III პრემია – „ბიბლუსის“ 100 ლარიანი ვაუჩერი

• ლიტერატურული კონკურსი „ტიციან ტაბიძე -130“

ტიციან ტაბიძის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსზე ჟიურიმ შეარჩია 3 გამარჯვებული ავტორი:
I ადგილი – ანასტასია სადრაძე, „ჩემი სული დაგლეჯილი ხურჯინია...“ (ტიციანი და რეპრესიების პერიოდი საქართველოში), თბილისის №24 საჯარო სკოლის X კლასი;
II ადგილი – ნოდარ კოლოტაშვილი, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის X კლასი;
III ადგილი – ნია დავითიანი, „რომ მოვედებით საქართველოს ლექსის ნიაღვრად“ (ტიციანი და ცისფერყანწელები), თბილისის სკოლა-ლიცეუმი „ფესვები“.
 შეგახსენებთ, რომ კონკურსის ფარგლებში შემოვიდა 42 საკონკურსო განაცხადი.
 მოსწავლეებს საკონკურსოდ უნდა წარმოედგინათ ერთ-ერთი თემა მოცემული სამიდან:
• „რომ მოვედებით საქართველოს ლექსის ნიაღვრად“ (ტიციანი და „ცისფერყანწელები“);
• „ჩემი სამშობლო, საქართველო, სხვა თეატრია“ (სამშობლო ტიციანის პოეზიაში);
• „ჩემი სული დაგლეჯილი ხურჯინია...“ (ტიციანი და რეპრესიების პერიოდი საქართველოში).
 კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეები.
 კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება შედგება 2025 წლის 13 ივნისს, 17 საათზე, მწერალთა სახლში.
 გამარჯვებულებს გადაეცემათ დიპლომები და პრემიები:
I პრემია – „ბიბლუსის“ 300-ლარიანი ვაუჩერი
II პრემია – „ბიბლუსის“ 200-ლარიანი ვაუჩერი
III პრემია – „ბიბლუსის“ 100-ლარიანი ვაუჩერი

• ლიტერატურული კონკურსი „ტიციან ტაბიძე -130“

დღეს, მწერალთა სახლში, ტიციან ტაბიძის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულებს კონკურსის ფარგლებში დაწესებული პრიზები გადავეცით.

გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და პრემიები:
• I პრემია – „ბიბლუსის“ 300-ლარიანი ვაუჩერი
• II პრემია – „ბიბლუსის“ 200-ლარიანი ვაუჩერი
• III პრემია – „ბიბლუსის“ 100-ლარიანი ვაუჩერი

ღონისძიებაზე კონკურსის გამარჯვებულებმა მადლობა გადაუხადეს მწერალთა სახლს იმ პროექტებისთვის, რომლებიც მოზარდებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ და საკუთარი ძალები მოსინჯონ მხატვრული ლიტერატურისა და წერის მიმართულებით.
ღონისძიების დასრულების შემდეგ კონკურსის მონაწილეებმა დავით სარაჯიშვილისა და რეპრესირებული მწერლების მუზეუმები, ასევე ხელოვან ნანა ყაულაშვილის თოჯინების გამოფენა დაათვალიერეს, რომელსაც მწერალთა სახლი მიმდინარე დღეებში მასპინძლობს.
კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეები.
გამარჯვებული ავტორები და თემები:
• I ადგილი – ანასტასია სადრაძე, „ჩემი სული დაგლეჯილი ხურჯინია...“ (ტიციანი და რეპრესიების პერიოდი საქართველოში), თბილისის №24 საჯარო სკოლის X კლასი
• II ადგილი – ნოდარ კოლოტაშვილი, „ჩემი სული დაგლეჯილი ხურჯინია...“ (ტიციანი და რეპრესიების პერიოდი საქართველოში), გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის X კლასი
• III ადგილი – ნია დავითიანი, „რომ მოვედებით საქართველოს ლექსის ნიაღვრად“ (ტიციანი და ცისფერყანწელები), თბილისის სკოლა-ლიცეუმი „ფესვები“
ტიციან ტაბიძის საიუბილეო წლის ფარგლებში მწერალთა სახლმა კონკურსი სწორედ ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად გამოაცხადა.

Davit Sarajishvili

History of the House

Davit Sarajishvili

• მთარგმნელობითი ლაბორატორია

„მწერალთა სახლი“ აცხადებს კონკურსს მთარგმნელებისთვის.
 კონკურსის მიზანია მწერალთა სახლში ჩამოყალიბდეს „მთარგმნელობითი ლაბორატორია“, რომელიც გამოავლენს ახალი თაობის მთარგმნელებს და ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.
 კონკურსში ვიწვევთ როგორც დამწყებ, ასევე გამოცდილ მთარგმნელებს.
 პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდება მთარგმნელთა შემოქმედებითი ჯგუფი, რომლის წევრებიც დაკავდებიან ქართული ლიტერატურის თარგმნით უცხოურ ენებზე.
„მთარგმნელობითი ლაბორატორიის“ შემოქმედებითი ჯგუფის წევრებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნება ქართული ლიტერატურის თარგმანები, სინოფსისები და პწკარედები.
 პროექტი ემსახურება ქართული ლიტერატურის უცხოურ ენებზე თარგმნას, პოპულარიზაციას, ქართველი ავტორების ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო ასპარეზზე და ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობას უცხოელი მკითხველებისთვის.
 კონკურსი ჩატარდება წელიწადში ერთხელ.
 საკონკურსო განაცხადები მიიღება 3 მარტიდან 1 მაისამდე.
 კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც გამოცდილ, ასევე დამწყებ მთარგმნელებს.

• მთარგმნელობითი კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებული მთარგმნელობითი კონკურსი დასრულებულია.
„მთარგმნელობითი ლაბორატორია“ საკონკურსო განაცხადებს 3 მარტიდან 1 მაისამდე იღებდა. მადლობას ვუხდით ყველა მონაწილეს ინტერესისა და ჩართულობისთვის!
მწერალთა სახლის მიერ გამოცხადებული მთარგმნელობითი კონკურსის მასალების შესაფასებლად იმუშავა „მწერალთა სახლის“ მთარგმნელობითი კოლეგიის სხვადასხვა ენისა და დარგის ქართველი და უცხოელი ექსპერტებით დაკომპლექტებულმა სპეციალურმა კომისიამ.
კონკურსმა, რომელიც წარმოდგენილი აპლიკაციების საფუძველზე მიზნად ისახავდა ქართულიდან უცხო ენებზე მთარგმნელთა შერჩევას, დიდი ინტერესი გამოიწვია. საკონკურსოდ 40 აპლიკაცია შემოვიდა, 11 (აზერბაიჯანულ, გერმანულ, თურქულ, იაპონურ, ინგლისურ, იტალიურ, რუსულ, სერბულ, სომხურ, უკრაინულ, ჩინურ) ენაზე შესრულებული თარგმანებით.
უნდა აღინიშნოს, რომ გამოცხადებული კონკურსის მიზანი იყო ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია უცხოეთში; ამიტომ აპლიკაციებთან დართული უნდა ყოფილიყო ქართული ლიტერატურიდან მთარგმნელთა მიერ შერჩეული ნიმუშები, რის მიხედვითაც განისაზღვრებოდა აპლიკანტებთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივა და სტრატეგია.
იყო შემთხვევები, როცა კონკურსანტებმა არ გაითვალისწინეს ეს მთავარი პირობა და ქართულ ენაზე უცხოური ლიტერატურის ნიმუშთა თარგმანები გამოგზავნეს.
მიუხედავად პირობის დარღვევისა, კომისიამ ამჯერად ეს აპლიკაციები მაინც შეაფასა.

„მწერალთა სახლთან“ თანამშრომლობის გასაგრძელებლად კი შეირჩა შემდეგი პროექტები:
ქართულიდან სხვა ენებზე
1. რუსუდან ბრეგაძე – გერმანული თარგმანი
2. გიორგი ბრეგაძე – გერმანული თარგმანი
3. ლალი აბრამია – გერმანული თარგმანი
4. ზვიად გამსახურდია (უმცროსი) – გერმანული თარგმანი
5. ნიკოლოზ ლომიძე – რუსული თარგმანი
6. თამარ რეკკ-კოტრიკაძე – რუსული თარგმანი
7. ჰარუნ ჩიმქე – თურქული თარგმანი
8. ლია ვიტეკი – გერმანული თარგმანი
9. გვანცა შათირიშვილი – ინგლისური თარგმანი
10. ნონა მაზიაშვილი – ინგლისური თარგმანი
11. თეკლა შათირიშვილი – ინგლისური თარგმანი
12. აინურ ალიევა – აზერბაიჯანული თარგმანი
13. სოფო საყვარელიძე – გერმანული თარგმანი
14. ეთერ ჭურაძე – ინგლისური თარგმანი
15. გიორგი გუნჯუა – ინგლისური თარგმანი
სხვა ენებიდან ქართულად:
1. სანდრო ჩემინავა – ხორხე ლუის ბორხესი „როსენდო ხუარესის ამბავი“
2. მარი თაბაგარი – ანა ახმატოვა (თარგმნილი ლექსები)

საპრეზიდენციო პროგრამები

• სარეზიდენციო პროგრამა ქართველი ავტორებისა და მთარგმნელებისათვის

მწერალთა სახლი აცხადებს სარეზიდენციო პროგრამას თანამედროვე ქართველი ავტორებისა და მთარგმნელებისათვის.

ათდღიანი პროგრამის ფარგლებში შერჩეულ კანდიდატებს მწერალთა სახლის რეზიდენციაში მშვიდი და კომფორტული ცხოვრებისა და მუშაობის საშუალება ეძლევათ.

სარეზიდენციო პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ავტორებსა და მთარგმნელებს, რომლებიც მუშაობენ ლიტერატურული ტექსტის შექმნაზე ან თარგმანზე.

▪ასევე, მწერალთა სახლი საშუალებას აძლევს გამომცემლებს, წარადგინონ იმ ავტორის კანდიდატურა, რომელთანაც გეგმავენ თანამშრომლობას.

მწერალთა სახლი სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულ ავტორებს სპეციალურად შერჩეული კომისიის მეშვეობით გამოავლენს.

მწერალთა სახლი, ასევე, შერჩეულ ავტორებს წიგნის ტირაჟის ღირებულების 50%-ს დაუფინანსებს და პოპულარიზაციაში ხელს შეუწყობს.

▪ახლო მომავალში მწერალთა სახლი სარეზიდენციო პროგრამას არაქართულენოვანი ავტორებისა და გამომცემლობებისთვის გამოაცხადებს.

• სარეზიდენციო პროგრამა ქართველი ავტორებისა და მთარგმნელებისათვის

მწერალთა სახლის სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში, რეზიდენტმა ავტორებმა – მაგდა კოტრიკაძემ, შალვა ბაკურაძემ, გაგა ბარბაქაძემ და ნინო დევდარიანმა მწერალთა სახლის რეზიდენციაში ათდღიანი შემოქმედებითი პერიოდი გაატარეს, რომლის განმავლობაში საკუთარ ნაწარმოებებზე იმუშავეს.

- ეს პროგრამა თანამედროვე ქართველი მწერლებისა და მთარგმნელებისთვის უნიკალურ შესაძლებლობას წარმოადგენს.
- მწერალთა სახლი პროექტს ყოველწლიურად ახორციელებს, რათა ავტორებს მშვიდ და კომფორტულ გარემოში მუშაობის პირობები შეუქმნას.
- 8 აპრილს მწერალთა სახლი ორგანიზებას გაუწევს რეზიდენტი ავტორების შეხვედრას მკითხველებთან, სადაც ისინი საკუთარ შემოქმედებაზე და მიმდინარე პროექტებზე ისაუბრებენ.
- გარდა ამისა, სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ნაწარმოებების გამოცემას მწერალთა სახლი აქტიურად დაუჭერს მხარს და მათ პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს.



• სარეზიდენციო პროგრამა ქართველი ავტორებისა და მთარგმნელებისათვის

8 აპრილს მწერალთა სახლში გაიმართა საჯარო შეხვედრა რეზიდენტ მწერლებთან — მაგდა კოტრიკაძესთან და გაგა ბარბაქაძესთან.
▫ მათ მწერალთა სახლის სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ახალი ლიტერატურული პროექტები წარმოადგინეს:
▪ მაგდა კოტრიკაძე — „ქალი დიუმას ოთახიდან“,
▪ გაგა ბარბაქაძე — „როგორ ვიცხოვრე ლიტერატურით“.
 შეხვედრას მწერალი ბაჩო კვირტია უძღვებოდა.
 ავტორებმა წაიკითხეს ნაწყვეტები მომავალი რომანებიდან, ისაუბრეს წერის პროცესის დეტალებზე და აუდიტორიის კითხვებს უპასუხეს.

• ქართულ-სერბული ლიტერატურული თანამშრომლობის დღეები

22-25 აპრილს მწერალთა სახლში ქართულ-სერბული ლიტერატურული თანამშრომლობის დღეები გაიმართება. პროექტის ფარგლებში ექვსი ქართველი და ექვსი სერბი პოეტი რამდენიმე დღის განმავლობაში ერთობლივ შემოქმედებით პროცესში ჩაერთვებიან.

- პროექტის ფარგლებში ითარგმნება თითოეული პოეტის ორ-ორი ლექსი, რომელთა საფუძველზე გამოიცემა ორენოვანი კრებული.
- სარეზიდენციო და მთარგმნელობითი პროგრამის მონაწილე ავტორები 24 აპრილს პოეტურ საღამოს გამართავენ და საკუთარი შემოქმედებით მკითხველის წინაშე წარდგებიან.

• ქართულ-სერბული ლიტერატურული თანამშრომლობის დღეები

ქართული-სერბული ლიტერატურული ურთიერთობების ფარგლებში მწერალთა სახლს სერბი პოეტები სტუმრობენ.
მწერალთა სახლსა და სერბეთის მწერალთა ასოციაციას შორის 2024 წელს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება პროექტი, რომლის მიმდინარე ეტაპი ექვსი ქართველი და ექვსი სერბი პოეტის ერთობლივ, თარგმანით მუშაობას მოიცავს.
აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, ამავე ლიტერატურული ურთიერთობების ფარგლებში, სერბეთის ქალაქ მრჩაევცში გამართულ პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე International Poetry Event, სერბეთის მწერალთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ქართველ პოეტ ნინია სადღობელაშვილს ჯილდო გადასცეს. მისი ლექსები სერბულ ენაზე ითარგმნა და გაიმართა შეხვედრა მკითხველთან.
24 აპრილს, 19:00 საათზე, მწერალთა სახლში გაიმართება სარეზიდენციო და მთარგმნელობითი პროგრამის მონაწილე ავტორების შემოქმედებითი საღამო.
პროექტის ფარგლებში პოეტების ლექსები ითარგმნება და გამოიცემა ორენოვანი კრებულის სახით.
მწერალთა სახლსა და სერბეთის მწერალთა ასოციაციას შორის დადებული მემორანდუმი მიზნად ისახავს ქართველი და სერბი ავტორების თანამშრომლობის გაღრმავებას, ახალი ნაწარმოებების თარგმნასა და სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებაში მათ მონაწილეობას.

• ქართულ-სერბული ლიტერატურული თანამშრომლობის დღეები

მწერალთა სახლში მიმდინარე ქართულ-სერბული სარეზიდენციო პროგრამა შემოქმედებითი საღამოთი დასრულდა.
ღონისძიებაზე ავტორებმა წაიკითხეს თარგმნილი ლექსები და ისაუბრეს მთარგმნელობით პროცესზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: დათუნა სირბილაძე — სერბეთის საპატიო კონსული საქართველოში, მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, ილია კობერიძე — ყოფილი ელჩი სერბეთში, ქართველი მწერლები და სხვა სტუმრები.

სერბეთის კონსულმა ზორან მარინკოვიჩმა, სერბეთის ელჩის ტატიანა პანნაიოტოვიჩის სახელით გამოგზავნა წერილი, სადაც ორმხრივი თანამშრომლობისა და კულტურული გაცვლის მხარდაჭერა გამოთქვა და წარმატება უსურვა პოეტებს.
სერბეთის მწერალთა ასოციაციამ მწერალთა სახლს საჩუქრად სერბი წმინდანის ხატი გადასცა.

პროექტში მონაწილეობდნენ ქართველი პოეტები: ირმა ბერიძე, სალომეა ლომინაძე, ნატალია ბეიტრიშვილი, მაია მინდელი, ლილე კვირკვია და მირანდა ერისთავი.

სერბი პოეტები: გორდანა ვლაიჩი, დუჩიცა ივანოვიჩი, ალექსანდრა მიხაილოვიჩი, ალექსანდრა პავიჩევიჩი, ჰრისტინა მრშჰა და იასმინა მალეშევიჩი.

პროექტი ხორციელდება მწერალთა სახლსა და სერბეთის მწერალთა ასოციაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.
მიმდინარე ეტაპზე ექვსი ქართველი და ექვსი სერბი პოეტი ორი დღის განმავლობაში მწერალთა სახლში ერთობლივი თარგმანების შექმნაზე მუშაობდნენ.

პროექტის შედეგად პოეტების ლექსები ითარგმნა და გამოიცემა ორენოვანი კრებულის სახით.

• ქართულ-სერბული ლიტერატურული თანამშრომლობის დღეები

ქართულ-სერბული ლიტერატურული დღეების დასრულების შემდეგ, მწერალთა სახლის ინიციატივით, სერბი სტუმრები სპეციალურად მათთვის გამართულ ანსამბლ „ერისიონის" კონცერტს დაესწრნენ.
სტუმრებისთვის განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა ქართული ტრადიციული კულტურის გაცნობა — ქართული ფოლკლორისა და ქორეოგრაფიის ნახვამ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.
მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ქართული კულტურის უნიკალურობასა და ქართველების გამორჩეულ სტუმართმოყვარეობას.
მწერალთა სახლი მადლობას უხდის ანსამბლ „ერისიონს" გულთბილი მასპინძლობისა და ქართული კულტურის განსაკუთრებულად წარმოჩენისთვის.



• ქართულ-თურქული მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი

24-26 ივნისს მწერალთა სახლში გაიმართება ქართულ-თურქული ლიტერატურული თანამშრომლობის დღეები. პროექტის ფარგლებში ექვსი ქართველი და ხუთი თურქი პოეტი სამი დღის განმავლობაში ერთობლივ შემოქმედებით პროცესში ჩაერთვებიან.

□□ პროექტის ფარგლებში ითარგმნება თითოეული პოეტის ორი ლექსი, რომელთა საფუძველზე გამოიცემა ორენოვანი კრებული.

□□ სარეზიდენციო და მთარგმნელობითი პროგრამის მონაწილე ავტორები 26 ივნისს შემოქმედებით საღამოს გამართავენ და საკუთარ შემოქმედებას მკითხველის წინაშე წარადგენენ.

• ქართულ-თურქული მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი

მწერალთა სახლში ქართულ-თურქული ლიტერატურული დღეები მიმდინარეობს.
მთარგმნელობითი ლიტერატურული პროექტი მწერალთა სახლისა და იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ხორციელდება და გულისხმობს ქართველი და თურქი პოეტების ლექსების ერთობლივ თარგმნას და შემდეგ ორენოვანი კრებულის გამოცემას.
პროექტში ქართველი ავტორებიდან მონაწილეობენ: გიორგი ბალახაშვილი, ირმა ბერიძე, ვახტანგ ვახტანგაძე, შოთა ვეკუა, გიო ზედვაკელი და ნინია სადღობელაშვილი.
თურქული მხარიდან კი წარმოდგენილი არიან თანამედროვე პოეტები: Baki Ayhan Asiltürk, Hayriye Ünal, Mehmet Can Doğan, Mehmet S. Fidancı და Ömer Erdem.
დღევანდელი მთარგმნელობითი სესია მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა — ავტორები ერთმანეთს პირადად შეხვდნენ, წარადგინეს საკუთარი პოეზია და ერთად იმუშავეს ტექსტების თარგმანზე.
მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მსგავსი სახის ლიტერატურულ ინიციატივებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კულტურულ დიალოგში და ხელს უწყობს ქართული და თურქული თანამედროვე პოეზიის ურთიერთგაცვლასა და პოპულარიზაციას.

პროექტის დასრულების შემდეგ დაგეგმილია შემოქმედებითი საღამო, რომელზეც ავტორები საკუთარ შემოქმედებას წარმოგვიდგენენ.
სარეზიდენციო და მთარგმნელობითი პროგრამის მონაწილეები 26 ივნისს, 19:00 საათზე, გამართავენ ქართულ-თურქულ ლიტერატურულ საღამოს, სადაც მკითხველს შესაძლებლობა ექნება, ორი ქვეყნის პოეზიასა და ავტორების შემოქმედებას უფრო ახლოს გაეცნოს.

• ქართულ-თურქული მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი

 მწერალთა სახლში ამ წუთებში იმართება მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროგრამის მონაწილე ავტორების სამუშაო შეხვედრა.
 ქართველი და თურქი ავტორები უკვე მეორე დღეა ერთმანეთის ლექსების თარგმნაზე მუშაობენ.
პროექტი მწერალთა სახლისა და იუნუს ემრეს ინსტიტუტის თანამშრომლობით ხორციელდება, რომლის ფარგლებში მწერალთა სახლის რეზიდენციას ხუთი თურქი ავტორი სტუმრობს.

 პროექტის დასრულების შემდეგ გამოიცემა ორენოვანი, ქართულ-თურქული პოეტური კრებული, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაწილე ავტორთა შერჩეული ლექსები.

 ქართველ ავტორებს შორის პროექტში მონაწილეობენ: გიორგი ბალახაშვილი, ირმა ბერიძე, ვახტანგ ვახტანგაძე, შოთა ვეკუა, გიო ზედვაკელი და ნინია სადღობელაშვილი.

თურქი ავტორები: Baki Ayhan Asiltürk, Hayriye Ünal, Mehmet Can Doğan, Mehmet S. Fidancı და Ömer Erdem.
 თურქმა ავტორებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს თანამედროვე ქართული პოეზიის მიმართ. მათი თქმით, თურქეთში ქართული პოეზია ნაკლებად ხელმისაწვდომია, ამიტომ გამოთქვეს სურვილი, გამოიცეს თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია.
 თავის მხრივ, მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ ავტორებს წარუდგინა მწერალთა სახლის საგამომცემლო პროგრამა და გააცნო შესაძლებლობები, რომლებიც აღნიშნულ პროგრამას აქვს უცხოელი გამომცემლობებისთვის. ამ პროცესში მწერალთა სახლი მზად არის ითანამშრომლოს მათთან და უზრუნველყოს შესაბამისი მხარდაჭერა.

YUNUS EMRE ENSTİTÜSÜ

• ქართულ-თურქული მთარგმნელობითი და სარეზიდენციო პროექტი

მწერალთა სახლისა და იუნუს ემრეს ინსტიტუტის თანამშრომლობით გამართულ ქართულ-თურქულ ლიტერატურულ დღეებს თურქული ონლაინმედია გამოეხმაურა.

 თურქულ ინტერნეტგაზეთში KARAR გამოქვეყნდა პროექტში მონაწილე თურქი პოეტის ომერ ერდემის წერილი: „რამდენიმე დღე თბილისში...“

 26 ივნისს მწერალთა სახლში გამართულ ქართველი და თურქი პოეტების შემოქმედებით საღამოს სტატია მიუძღვნა თურქულმა ონლაინპლატფორმამ TRT AVAZ, სახელწოდებით „ლიტერატურის კვალდაკვალ: თურქ და ქართველ პოეტთა შეხვედრა“.

Gürcistan'da "Edebiyatın İzinde: Türk-Gürcü Şairler Buluşması" etkinliği düzenlendi

Gürcistan'ın başkenti Tiflis'te, Tiflis Yunus Emre Enstitüsü (YEE) ile Gürcistan Yazarlar Evi işbirliğinde "Edebiyatın İzinde: Türk-Gürcü Şairler Buluşması" konulu etkinlik düzenlendi.

27 Haziran 2025 11:13

Tiflis YEE'den alınan bilgiye göre, Gürcistan Yazarlar Evi'nde gerçekleşen programa Türkiye'nin Tiflis Büyükelçisi Ali Kaan Orbay, Tiflis YEE Koordinatörü Zekeriya Gültekin, Gürcistan Yazarlar Evi Müdürü Ketevan Dumbadze ve Türkiye ile Gürcistan'dan şairler katıldı.

KARAR.

İstanbul 28°

SON DAKİKA : Diplomat olma hayali kuranlar ve yabancı dil bilenler müjde! Dışişleri...

Anasayfa / Yazarlar / Ömer Erdem

Ömer Erdem

Yazarın Tüm Yazıları >

Tiflis'te birkaç gün...

01/07/2025 00:01

+ Aa −

Bu mevsim dayanılmaz sıcak değil nadir görülür şeker gibi bir hava vardı. Çoktan çiçekten kesilmişti ıhlamurlar fakat eski Tiflis sokaklarını karşılıklı birer şemsiye gibi gölgeliyorlardı. Dünyanın gidebildiğim her şehrinde olduğu gibi yine sabahın altısı benimdi. Avlulu geniş evlere açılan loş geçitler,

პროექტები

• მსოფლიო ლიტერატურის კურსი

მწერალთა სახლი აცხადებს მიღებას მსოფლიო ლიტერატურულ კურსზე!
 გიწვევთ უფროსკლასელებსა და სტუდენტებს, რომლებსაც გსურთ, გაეცნოთ მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ავტორებს და მათ შედევრებს.
 კურსის აღწერა:
ლიტერატურული კურსი მოიცავს მსოფლიო მწერლების საკულტო ნამუშევრების შესახებ ლექციათა ციკლს. თითოეულ შეხვედრაზე მსმენელებს გადაეცემათ საკითხავი მასალა, რომელსაც ჯგუფი პედაგოგთან ერთად განიხილავს.
შეხვედრები ინტერაქტიული ფორმატით წარიმართება და აერთიანებს ლექციასა და დისკუსიას.

• ანტიკური და რომაული ლიტერატურის კურსი

□□მწერალთა სახლი წარმოგიდგენთ მანანა ღარიბაშვილის კურსს ანტიკური და რომაული ლიტერატურის შესახებ.
□□კურსზე გიწვევთ უფროსკლასელებსა და სტუდენტებს,
სადაც გაეცნობით ცივილიზაციათა უმნიშვნელოვანეს ტექსტებს, რომელმაც საფუძველი დაუდო თანამედროვე მსოფლმხედველობას, მათ შორის პოლიტიკური, სოციალური და ფილოსოფიური კონტექსტების გავლენას ლიტერატურის ფორმებისა და თემატიკის განვითარებაზე.
□ კურსის აღწერა:
მსმენელები გაეცნობიან ანტიკური და რომაული ლიტერატურის მნიშვნელოვან ტექსტებს და იმსჯელებენ მის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტებზე.
შეხვედრები ინტერაქტიული ფორმატით წარიმართება და მოიცავს ლექციასა და დისკუსიას.







• ლექცია-პერფორმანსების ციკლი – „ამბავი ცისფერყანწელებზე”

მწერალთა სახლი წარმოგიდგენთ ლიტერატურულ-შემეცნებითი ლექცია-პერფორმანსების ციკლს – „ამბავი ცისფერყანწელებზე“.
 შეიტყვეთ უფრო მეტი ცისფერყანწელთა ორდენის წარმომადგენლებზე, მათ სულისკვეთებასა და როლზე ქართული ლიტერატურისა და კულტურის ფორმირებაში.
 ლექციებისა და ვიზუალურ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით, პროექტი მიზნად ისახავს გააცოცხლოს და მსმენელისთვის ხელშესახები გახადოს ცისფერყანწელთა მოღვაწეობა.
ციკლი 8 თემატურ ლექციას შეიცავს.
ლექციებს გაუძღვება ლიტერატორი ნინო ჩხიკვიშვილი.



• ფილოსოფიის კურსი

მწერალთა სახლი იწყებს ფილოსოფიის ლექციების ციკლს, რომელსაც ფილოსოფოსი ოთარ ჭულუხაძე გაუძღვება.
 კურსის მენტორი, დაინტერესებულ აუდიტორიასთან ერთად, განიხილავს ეგზისტენციალიზმის ძირითად იდეებს, მის კავშირს ლიტერატურასთან და თანამედროვე ეპოქასთან.
 ლექციები გაიმართება 4 მაისიდან 16 ივლისის ჩათვლით, ყოველ ოთხშაბათს, 19:00 საათზე, მწერალთა სახლში.

• მოდერნისტული პოეზიის ლექციები

მწერალთა სახლში იწყება მოდერნისტული პოეზიის ლექციების კურსი, რომელსაც გაუძღვება ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი.
 კურსის ფარგლებში განიხილება მოდერნიზმის გავლენა ლიტერატურაზე და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოდერნისტული ტექსტების ანალიზს.
კურსის მიზანია, მსმენელს დავანახოთ ლირიკული პოეზიის საგანგებო ხასიათი, „ახალი დროის“ (მოდერნის) პოეზიის თავისებურება – მოდერნისტული პოეტური კრებულის, როგორც წიგნის ფენომენი, მისი თემატიკა, პოეტიკა, რიტორიკა და ინტერტექსტუალობა.ჩვენი ყურადღების ცენტრშია ორი ლიტერატურული მოვლენა-ხდომილება: 1) 1857 წელს გამოქვეყნდა შარლ ბოდლერის Les Fleurs du mal („ბოროტების ყვავილები“) – მოდერნისტული პოეზიის პირველი სანიმუშო კრებული, რომელსაც, როგორც პარადიგმულ ტექსტს, მიჰყვა მთელი გლობალური მოდერნისტული პოეტიკა; 2) 1927 წელს კი თბილისში გამოიცა გალაკტიონის მესამე პოეტური კრებული, სადაც ქართულენოვან ქრონოტოპოსში შეჯამდა მოდერნიზმის პოეზია.







• შემოქმედებითი სახელოსნო

11 იანვრიდან ნინო ქადაგიძის შემოქმედებითი სახელოსნოს შეხვედრები განახლდება!

ყოველ შაბათს, მწერალთა სახლი ბავშვებს შემოქმედებით სახელოსნოში მასპინძლობს, რომელსაც მწერალი ნინო ქადაგიძე უძღვება.
- შემოქმედებითი სახელოსნო სხვადასხვა ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისთვის მრავალფეროვან პროგრამას გვთავაზობს.
- ვკითხულობთ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს და ვეცნობით მათ ბიოგრაფიებს.
- განვიხილავთ სხვადასხვა სამწერლო ჟანრს, როგორიცაა პროზა, პოეზია, მითები, ლეგენდები და ზღაპრები.

• მოზარდთა შემოქმედებითი სტუდია

მწერალთა სახლში დასრულდა მოზარდთა შემოქმედებითი სტუდიის მორიგი ციკლი.
□□□ სტუდია პედაგოგ ანი გიორგობიანის ხელმძღვანელობით შვიდი თვის განმავლობაში აქტიურად ფუნქციონირებდა და ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან შემოქმედებით სივრცედ იქცა.
□□მოზარდებმა ამ ხნის განმავლობაში გაიცნეს ქართველი და უცხოელი ავტორების შემოქმედება, ჩაერთნენ ლიტერატურულ განხილვებში და თავადაც იმუშავეს სხვადასხვა ჟანრის ტექსტებზე.
შეხვედრები, წერის ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობდა ახალგაზრდების აზროვნების, თვითგამოხატვისა და კრიტიკული ხედვის გაღრმავებას.

• ცირა ბარბაქაძე - „ციფრული ეპოქა: მწერლობის, კულტურის და განათლების ტრანსფორმაცია“

მწერალთა სახლის მხარდაჭერით ქალაქ ოზურგეთში ხორციელდება პროექტი „ციფრული ეპოქა: მწერლობის, კულტურის და განათლების ტრანსფორმაცია“, რომელსაც მწერალი, პროფესორი ცირა ბარბაქაძე უძღვება.
„ციფრული ეპოქა“ ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.
პროექტის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ციფრულ სამყაროში არსებულ გამოწვევებს და პრაქტიკულად გამოსცადეს ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა ინსტრუმენტი.

• მასტერკლასი - შეხვედრა ჯონ უილიამ ნარინსთან

17 ივნისს, 19 საათზე მწერალთა სახლში მთარგმნელობითი პროგრამის ფარგლებში გაიმართება შეხვედრა ჯონ უილიამ ნარინსთან.
 შეხვედრის შემდეგ ამერიკელი პოეტი და მთარგმნელი აუდიტორიისთვის პოეტური თარგმანის მასტერკლასს ჩაატარებს.
 ჯონ უილიამ ნარინსი – ამერიკელი პოეტი, მთარგმნელი, ხელოვნებათმცოდნე და ლიტერატურის მკვლევარი.

ბლოგები

მწერალთა სახლი
კრიტიკა
ესეისტიკა
პუბლიცისტიკა
რეცენზია
პორტრეტი
ინტერვიუ
დათია ბადალაშვილის
„ეპიგრაფები დავიწყებულ სიზმრებისათვის“

მწერალთა სახლი
კრიტიკა
ესეისტიკა
პუბლიცისტიკა
რეცენზია
პორტრეტი
ინტერვიუ
მაია ჯალიაშვილი
„თამაზ ბაქაღუას პიესები
დროისა და მარადისობის კონტექსტებში“

მწერალთა სახლი
კრიტიკა
ესეისტიკა
პუბლიცისტიკა
რეცენზია
პორტრეტი
ინტერვიუ
თამარელა წოწორია
- ნინო გუგეშაშვილის
„ჩაი ნანგრევებზე“


მწერალთა სახლი
კრიტიკა
ესეისტიკა
პუბლიცისტიკა
რეცენზია
პორტრეტი
ინტერვიუ
მია არგვანაშვილი
— „პოეტი სოსო მეშველიანი“

მწერალთა სახლი
კრიტიკა
ესეისტიკა
პუბლიცისტიკა
რეცენზია
პორტრეტი
ინტერვიუ
ზაზა ასლანიძე
— „აბსურდის-პარადოქსის თეატრი“

მნიშვნელოვანი თარიღები

მწერალთა სახლი
გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

მწერალთა სახლი
9 მაისი
გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

9 აპრილი


ქრისტე ჯვარცმულ!


14 თებერვალი
წიგნის რიტების დღე
მწერალთა სახლი
ივ. მაჩაბლის ქ. 13

მწერალთა სახლი
23 აპრილი
წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე

მილოცვა, დაბადების დღის თარიღები

1884 წლის 19 თებერვალს დაიბადა
1866 წლის 12 თებერვალს დაიბადა
1859 წლის 17 თებერვალს დაიბადა
1931 წლის 5 მარტს დაიბადა
1905 წლის 10 მარტს დაიბადა
1991 წლის 7 მარტს დაიბადა
1927 წლის 15 თებერვალს დაიბადა
1917 წლის 14 იანვარს დაიბადა
1908 წლის 7 აპრილს დაიბადა
1943 წლის 13 მარტს დაიბადა
1948 წლის 10 აპრილს დაიბადა
1889 წლის 2 იანვარს
1974 წლის 20 თებერვალს დაიბადა
1895 წლის 8 მარტს დაიბადა
1953 წლის 13 თებერვალს დაიბადა
1945 წლის 14 მარტს დაიბადა
1956 წლის 15 მარტს დაიბადა
1964 წლის 7 თებერვალს დაიბადა
1925 წლის 22 თებერვალს დაიბადა
1900 წლის 25 იანვარს დაიბადა
1936 წლის 11 თებერვალს დაიბადა
1959 წლის 28 იანვარს დაიბადა


1936 წლის 13 მაისს დაიბადა მწერალი, დრამატურგი და ეკეთერი ჭელიძე ქარხნისაკენ
1929 წლის 12 აპრილს დაიბადა პოეტი შეიარა ბაქაურიანი
1962 წლის 1 მაისს დაიბადა პოეტი, პროზაიკოსი ყორნა ფერაშვილი
1934 წლის 21 ივლისს დაიბადა ქართველი მწერალი გურამ გეგეშიძე
1874 წლის 21 მაისს ცხოველი მწერალი, დრამატურგი, მასწავლებელი, ლეონარა მოლიანენ
1856 წლის 3 ივლისს დაიბადა მწერალი, ფილოსოფოსი და საზოგადოებრივი მოღვაწე, ქართველი ისტორიული რომანების ფუძემდებელი ალექსანდრე ყაზბეგი (ალბანელელი)
1920 წლის 20 ივლისს დაიბადა
1840 წლის 21 ივლისს დაიბადა
15 მაისს პოეტი ლია სტურუა დაიბადა
1933 წლის 24 აპრილს დაიბადა ტრაგიკული და დრამატული ბუნების პროზაიკოსი
1939 წლის 26 მაისს დაიბადა საქართველოს ერთგული ქალი, ხანმოკლეთ მოღვაწე, დისიდენტი და ეფექტიანობისადმი, ბრძოლისუნარიანი, პოეტი, მერან კოხავა
1894 წლის 29 ივლისს დაიბადა ბათილი ბასილეული
1928 წლის 14 ივლისს დაიბადა ნოდარ ფეშმაძე
2 წლის 11 ივლისს ბადა პოეტი
ბარიელ ანტურია
1944 წლის 26 მაისს პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი და მთარგმნელი, ბევრი ალბომისეული დაიბადა
1930 წლის 16 ივლისს დაიბადა მწერალი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ... „ბასბანიანი ნოსტრა“ ლიტერატურის ... ეროვნული ... ...
1955 წლის 5 ივლისს დაიბადა პოეტი თემურ ჩხეიძანი
1861 წლის 14 ივლისს დაიბადა ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი)
1968 წლის 19 ივლისს დაიბადა შალიკიანი, ჰედაგოგი, პოეტი, რეფორმატორი ალექსანდრე ...
1930 წლის 11 ივლისს დაიბადა პოეტი ...
1905 წლის 19 ივლისს დაიბადა
1934 წლის 4 ივლისს დაიბადა მწერალი
გურამ რჩეულიშვილი

გმადლობთ
ყურადღებისთვის